# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი შაბათი 11 დეკემბერი 2004 №288 (2309) ფასი 50 თეთრი

## ანდრო აბაშიძისთვის ფედერაციაში ისე ბნელა, საკუთარი თავი ვერ დაინახა

### ნაგენმდივნარმა ქორდანიას და ფედერაციას ცოდვები აუწონა



კაცი რომ თავის გულისნადებს არ გაჰყვირის და ემოციებს ერევა, თავისთავად კარგი თვისებაა, მაგრამ არც გაჩუმება ეგების ყოველთვის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან დათხოვნილმა გენმდივანმა ანდრო აბაშიძემ კი ოქროს შუალედი იპოვა — გულში დაგროვილი წყენა და შენიშვნები გუშინდელ აღმასკომის სხდომაზე არ აღმოთქვა, თუმც შენობიდან გამოსულმა ჟურნალისტებს წერილები ჩამოგვირიგა, წაიკითხეთ და მიხვდებით, რატომაც ვერ ვჩერდები ამ სამსახურ შიო. „მორჩა, საფეხბურთო საქმიანობას შევეშვი, დღეიდან მხოლოდ მატჩებს დავესწრები" — ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ოთხიოდე თვით ნაგენმდივნარი აბაშიძე.

როგორი ზამთარი იცის საქართველოში? ცივიო, იტყვით, მაგრამ... ვისთვის როგორ. აბა, „დინამოს", „ლოკომოტივს" და „ზესტაფონს" ჰკითხეთ. კლუბებს, რომლებსაც ერთი სული აქვთ, ამ სუსხიან ამინდში ფანჯარა გაიღოს. დიახ, სატრანსფერო რია-რია იწყება და ვფიქრობთ, ეს ზამთარი ძალიან ცხელი უნდა გამოდგეს.

„ლოკომოტივმა" სულაც მზიან ბრაზილიას უწია — თბილისელთა დესპანი დღედღეზე ორ-სამ ბრაზილიელს ჩამოიყვანს, კლუბი კი ქართულ ბაზარშიც სავსე ჯიბით აპირებს შესვლას, იქ, სადაც „დინამო" და „ზესტაფონი" უკვე ვაჭრობენ.

ყველაზე კარგი მიმწოდებელი კი ქუთაისის „ტორპედოზე" ითქმის. რიონისპირელებმა უკვე გამოაცხადეს, მეკარეს ველევითო და ზვიად სტურუაც ახალ საბინადროს არჩევს. „სარბიელთან" დღევანდელ ინტერვიუში სტურუამ ერთი საინტერესო რამ თქვა — საქართველოში დავრჩები და „ტორპედოზე" უკეთეს გუნდში გადავალო. პირობებით თუ ტიტულებით ასეთად „დინამო" ჩანს, თუმც ისიც საკითხავია, რა კრიტერიუმს იყენებს შეფასებისას ჯერაც ტორპედოელი?



## ოთარ გაბელია ზვიად სტურუას ნაკრებშიღა ნახავს

### ლოკომოტივის ტრანსფერი შოკოლადისფერია

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ დიდ ჩოჩქოლს ელოდნენ. პროცედურა დიდიც არაფერი – ალმასკომის მორიგი სხდომა უნდა გამართულიყო, თუმც პროცედურის ლაიტმოტივი იყო საინტერესო: სხდომაზე სფფ-ის ყოფილი გენერალური მდივნის, ანდრო აბაშიძის საკითხი უნდა გარკვეულიყო. როგორც წინა დღეს ბატონმა ანდრომ განაცხადა, თუ ჩემს შენიშვნებს ყურად იღებენ, ხომ კარგი, თუ არა, წყნარად დავიხურავ ქუდს და სასამართლოს სათოფეზე არ გავეკარებიო. შეხსენება არ გჭირდებათ, რომ 26 სექტემბერს ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ანდრო აბაშიძე თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ნაცვლად ვალერი ჩოლარია დააბრუნა*




# ანდრო აბაშიძემ ქაღალდები გაიჯახუნა

## საქართველოში ოპტიმიზაცია პესიმიზაციით მთავრდება

ცხადია, გუშინდელი სხდომა დახურული იყო, თუმც ანდრო აბაშიძემ დიდხანს არ გვალოდინა. მან მალევე დატოვა ალმასკომი და კომენტარიც ასეთი გააკეთა: „სამწუხაროდ, ალმასკომის წევრები უკლებლივ ჟორდანიას აზრს ითვალისწინებენ. ამ სტრუქტურაში ჩემი ვერ გავიტანე, შენიშვნებს კი არავინ უსმენს და ასე სამსახურში არ გავჩერდები. მორჩა, ფეხბურთში საქმიანობა დავასრულე, მხოლოდ მატჩებს დავესწრები. ფედერაციაში შენიშვნებზე ხმამაღლა ლაპარაკს აზრი არა აქვს, მე ჩემი ვარაუდები მაქვს, მაგრამ სასამართლოში საქმის შეტანას არ ვაპირებ“.

გამომშვიდობებისას ანდრო აბაშიძემ წერილობით გადმოგვცა ფედერაციისადმი შენიშვნები, რომელთაც მოკლედ გაგაცნობთ: „სტრუქტურა გაუმართავია, ჩემი მისვლისას ფედერაციაში 59 კაცი ირიცხებოდა და მათი კვალიფიკაციის ოპტიმალიზება ვერ მოხერხდა. ჟორდანია ხალხის გაშვების წინააღმდეგი იყო, ამა და ამ კაცის მამა ყრილობის დელეგატია და მე მაძლევს ხმასო. ფიფას წესდება კრძალავს ფედერაციის ალმასკომის მოქმედი წევრის ყრილობაზე დელეგატის უფლების ქონას, მაგრამ ჟორდანიას პასუხი ასეთია — მე ასე მჭირდება, ერთგული ხალხი უნდა მყავდეს, თორემ არჩევნებს ვერ მოვიგებ, სანამ გაგვდის, ასე უნდა იყოს და თუ დაგვიჭირეს, მერე შევცვალოთ; სფფ წელიწადში არაერთ მილიონ ლარს ხარჯავს, მაგრამ საფინანსო გეგმა არ გააჩნია, უეფა-ფიფადან გამოყოფილი თანხები არაოპტიმალურად იხარჯება, ხარჯვითი მუხლები გაბერილია; ჟორდანია განუსაზღვრელ უფლებას იტოვებს და საკუთარი სურვილით ცვლის ფედერაციის წესდებას, ისე, რომ ყრილობას ამის შესახებ არც აცნობებს. ასე იყო ბოლო ყრილობაზე, სადაც გენერალური მდივნის უფლებები განუხილველად გაუქმდა; სატელევიზიო კონტრაქტი ფედერაციის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, მაგრამ რეალური კონტრაქტი ფედერაციაში არ ინახება. სამაგიეროდ, ინახება ფაბრიცირებული კონტრაქტი, საიდანაც ამოღებულია ერთი მუხლი, სადაც უნდა ეწეროს, რომ ყოველი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ფედერაცია შეკრების ჩასატარებლად იღებს 120 ათას დოლარს, ხოლო 2002 წელს ტექნიკური დახმარების სახით უნდა მიეღო 25 ათასი დოლარი. რეალური კონტრაქტი მე მოვიპოვე უეფადან და ბუნებრივად იბადება კითხვა — სად მიდის ეს თანხები, რომელიც არც კი მოიხსენიება სფფ-ში არსებულ კონტრაქტში.“

ანდრო აბაშიძეს წერილობით შენიშვნებში სფფ-ის და ფიფა-უეფას წესდებებიც აქვს მოხმობილი და აცხადებს, ბევრი შეუსაბამობააო. მოკლედ, ასეა თუ ისე, ბატონმა ანდრომ თავისი რამდენიმეთვიანი საქმიანობა ქართულ ფეხბურთში დაასრულა...

ამასობაში ალმასკომის სხდომაც დასრულდა და მასმედიელებს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე, ვალერი ჩოლარია და მურად ანჯაფარიძე გვესაუბრნენ, მერაბ ჟორდანია კი მოუცლელობის გამო ვერ შეგვხვდა.

— ანდრო აბაშიძემ რატომღაც არ ისურვა სხდომაზე შენიშვნების გამოთქმა, არადა, ამის საშუალება ჰქონდა. მან გადადგომაზე გააკეთა განცხადება, ჩემს ადგილს ფედერაციაში ვერ ვხედავო. ასე რომ, აბაშიძის წასვლას პოლემიკა და კამათი არ მოჰყოლია და ავტომატურად, ოფიციალურად დადასტურდა ვალერი ჩოლარიას გენმდივნობა. გარდა ამისა, ალმასკომმა კიდევ რამდენიმე საკითხი განიხილა: „პანიონისი“ — „დინამოს“ საუეფასთასო მატჩის აჟიტირებული თემა, რომელიც ალბათ მალევე ჩაცხრება; გადაწყდა, რომ ფედერაციის მორიგი ყრილობა 2005 წლის 9 თებერვალს გაიმართება, ზუსტად იმ დღეს საქართველოს ნაკრები ლიტვას უმასპინძლებს ამხანაგურ მატჩში და ეს ერთგვარად დავამთხვიეთ, [illegible] — გვითხრა [illegible].

რომან შოთაძემ [illegible] უარყო აბაშიძე-ჟორდანიას კონფლიქტი, თუმც ის კი თქვა, შესაძლოა, აბაშიძეს ვინმე უკიჟინებდა სკანდალის აგორებასო. — ბატონ ანდროს სრული უფლება ჰქონდა, თავისი შენიშვნები წარმოედგინა ალმასკომზე, თუმც ეს არ ისურვა და სხდომამაც ყოველგვარი ემოციების გარეშე ჩაიარა. აბაშიძეს ჟურნალისტებთან ერთად უნდოდა შენიშვნების გამოთქმა? არ ვიცი, ამისთანა რამ სხდომაზე არ უთხოვია — განმარტა შოთაძემ. როგორც გაირკვა, ანდრო აბაშიძეს ალმასკომის წევრებისთვის უთქვამს, თქვენ რაც უნდა გადაწყვიტოთ, მე მაინც ვტოვებ პოსტსო...

და კიდევ, გუშინდელ ალმასკომის სხდომაზე ვალერი ჩოლარიამ ფედერაციის ახალი პრესატაშე წარგვიდგინა — 1 იანვრიდან ამ ფუნქციას ლევან სალუქვაძე შეასრულებს, რომელიც, გეცოდინებათ, თბილისის „დინამოს“ პრესატაშეცაა. ჩოლარიამ განგვიმარტა, სალუქვაძე ჩვენთან ნახევარ განაკვეთზე იმუშავებსო. ძალიანაც კარგი, რომ პრესატაშეს დანიშვნას თავი მოება...

ბოლოს, ჩოლარიამ ისიც გვაცნობა, გაისად, 9 თებერვალს ლიტველები შესაძლოა, სამი ნაკრებით გვესტუმრნონო. ეროვნული და ახალგაზრდული რომ ჩამოჰყავდათ, ეს აქამდეც ვიცოდით და ბალტიელებს თურმე 19-წლამდელთა გუნდის ჩამოყვანაც მოუწადინებიათ, რაზეც ქართულ მხარეს თანხმობა შეუთვლია...

**ილია ნანობაშვილი**



ლევან სალუქვაძე ვალერი ჩოლარიამ წარადგინა

### თურქეთი

სუპერლიგა. XVII ტური

ძაისერი 1:2 ბეშიქთაში

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XVI ტური

ჰერენვენი 1:0 გრონინგენი

II დივიზიონი. XVII ტური

სიტარდი 2:4 ვეენდამი
აპელდორნი 0:1 ტელსტარი
ექსელსიორი 2:0 მაასტრიხტი
ჰელმონდი 1:0 ეინდჰოვენი
ჰერაკლესი 0:4 სპარტა
ვოლენდამი 2:0 დორდრეხტი
იგლსი 1:1 ვენლო
ჰაარლემი 1:1 ოსი
ემენი 1:0 კამბური

### ინგლისი

ჩემპიონატი. XXIII ტური

ვესტ ჰემი 1:1 ლიდსი

I ლიგა. XXI ტური

ტრანმერი 2:0 ბორნმუთი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა XVII ტური

ბურგჰაუზენი 0:3 აინტრახტი
კოტბუსი 4:1 კარლსრუე
ფიურტი 3:2 ალემანია

სამხრეთ რეგიონალლიგა XVIII ტური

ფოიხტი 2:3 ოფენბახი
ელვერსბერგი — აუგსბურგი გადაიდო

### პორტუგალია

სუპერლიგა. XIV ტური

ბოავიშტა 1:0 აკადემიკა

### ავსტრია

მემფისის თასი. II ეტაპი

რაპიდი (მ) 1:3 მატერსბურგი

### იტალია

სერია B. XVII ტური

ჩეზენა 1:1 ჯენოა

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა გადადებული მატჩი

შახტარი 4:1 ილიჩევეცი

ს.კ. „დინამო თბილისი“-ს საფეხბურთო აკადემიის

**განცხადება**

ა.წ. 10 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე
ს.კ. „დინამო თბილისი“-ს
საფეხბურთო აკადემია აცხადებს
ღია კარის დღეს
1987-1991 წლებში დაბადებულთათვის

საფეხბურთო სკოლებში და კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებს,
გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ

საკონტაქტო ტელეფონი 53 20 76

# შედან ნანიკაშვილი:
# ბაბუნაშვილი ჩემი შვილია



## სტურუა მიდის! სხვები? არა მგონია...

*ქუთაისის „ტორპედომ“ საკუთარ თავზე მაღლა ახტომა შეძლო და თბილისის „დინამოსთან“ ერთად ჩემპიონატს ლიდერობს. სამწუხარო კი ისაა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს ველარ ინარჩუნებს. გუშინაც ვწერდით, შოთა ბაბუნაშვილს, გია მეგრელაძეს, ზვიად სტურუას და გიორგი ნერგაძეს კონტრაქტები დაუმთავრდათ და გუნდის დატოვებას აპირებენ. ეს კი „ტორპედოსთვის“ განუზომლად დიდი დანაკლისი რომ არის, ფაქტია.*

*რა ხდება გუნდში, მართლა მიდიან თუ არა ფეხბურთელები, რას აპირებს ხელმძღვანელობა — ამ და სხვა კითხვებზე გუშინ „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტმა შედან ნანიკაშვილმა გვიპასუხა...*

— გავიგეთ, „ტორპედოდან“ რამდენიმე ფეხბურთელი მიდისო. შეგიძლიათ, ეს ინფორმაცია დაგვიდასტუროთ?

— ბევრი არ მიდის, ერთი-ორი თუ დაგვტოვებს.

— კერძოდ, ვინ?

— ჯერ ყველაფერი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. მე ფეხბურთელებს გასაგებად ვუთხარი, წასვლა თუ გინდათ, ამ ხუთ დღეში მითხარით-მეთქი.

— და ვისაც უნდა, წავა?

— ეგრეც არ არის. ვისაც გავუშვებთ, ის წავა.

— კი მაგრამ, კონტრაქტები რომ უმთავრდებათ?

— მერე რა, შეთანხმება და კონტრაქტის გაგრძელება ხომ შეიძლება?!

— ბაბუნაშვილი, სტურუა, მეგრელაძე, ნერგაძე — ამათგან ვინ მიდის?

— ალბათ სტურუა. ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია. წასვლა უნდა და წავიდეს.

— ხომ ვერ გვეტყვით, სად მიდის?

— არა, არ ვიცი და არც მაინტერესებს.

— ბაბუნაშვილი?

— ბაბუნაშვილს ასე იოლად ვერ შეველევი. აქამდე შვილივით ვუვლიდი და არა მგონია, ასე ხელაღებით გავუშვა. ამ საკითხს მალე მოვაგვარებთ.

— და რა გამოდის?

— ის, რომ „ტორპედო“ არ დაიშლება. ბარე ორ კონკურენტს გავუცრუებ იმედებს.

— ახალი ფეხბურთელების მოწვევას თუ აპირებთ?

— ვნახოთ, ხომ გითხარით, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

— მოსამზადებელი ეტაპი დაგეგმილია?

— ალბათ 15 იანვარს შევიკრიბებით, მერე კი უცხოურ შეკრებაზეც წავალთ. მეტს ვერაფერს გეტყვით.

**ბახა შალამბერიძე**

# ზვიად სტურუა:
# კონტრაქტი დამიმთავრდა და ტორპედოზე უკეთესი მინდა

*ქუთაისის „ტორპედო“ პირველი ეტაპის ბოლო ტურამდე ლიდერობდა ეროვნულ ჩემპიონატს, ბოლო ტურში კი შინ „თბილისთან“ 2:2 ითამაშა და „დინამომ“ გადაასწრო, თუმც დინამოელებს და ტორპედოელებს თანაბარი ქულები აქვთ. „ტორპეოს“ კარს კი ზვიად სტურუა იცავდა და გუნდი „დინამოსთან“ რომ ტოლსწორობს, მისი დიდი დამსახურებაცაა. სტურუას ალენ ჟირესმაც დაადგა თვალი, უკრაინასთან მატჩში იახლა. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სტურუა ალბათ აღარ დარჩება „ტორპედოში“...*



— შენი „ტორპედოდან“ წასვლა უკვე გადაწყვეტილია?

— „ტორპედოსთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა და დიდი სურვილი მაქვს, საქართველოს სხვა წამყვან გუნდში გადავიდე.

— ჯერ შეთავაზება არ მიგილია? მაინც სად აპირებ წასვლას?

— იქ, სადაც უკეთესი პირობები იქნება.

— მოკლედ, „ტორპედოში“ აღარ ითამაშებ...

— არც ესაა გამორიცხული, ყველაფერი პირობებზეა დამოკიდებული.

— ნაკრების კანდიდატი ხარ და, როგორ ფიქრობ, საერთაშორისო დონეზე თამაშისთვის უკვე მზად ხარ?

— ჟირესმა უკრაინასთან მატჩისთვის გამომიძახა და ალბათ ჩემი ეიმედება. თუ შანსი მომეცემა, ვეცდები დავამტკიცო, რომ უფრო მაღალ დონეზეც შემიძლია თამაში.

— „ტორპედომდე“ „ვიტ ჯორჯიაში“ იყავი, თუმც იქიდან წამოსვლამ მოგიწია....

— „ვიტ ჯორჯიას“ კარში მაშინ მირზა მერლანი იყო და თამაში იშვიათად მიწევდა. შემდეგ თსუ-ში გადავედი, მერე კი რევაზ ძოძუაშვილმა დამიძახა „ტორპედოში“ და სამ წელზე მეტი „ტორპედოში“ გავატარე.

— ამ სეზონის წინ „ტორპედო“ სათანადოდ ვერ მოემზადა, პირობებიც არ აქვს საუკეთესო, თუმც „დინამომ“ და თქვენ თანაბარი ქულები დააგროვეთ — ყველაზე უფრო რამ განაპირობა „ტორპედოს“ წარმატებული თამაში?

— „ტორპედო“ ტრადიციული გუნდია, რომლისთვის პირველ ადგილზე ყოფნა და ჩემპიონობა ახალი არაა, მაგრამ რაც ამ სეზონში მოხდა, ეს პირველ რიგში ფეხბურთელების დამსახურებაა — „ტორპედო“ ძალიან მეგობრული გუნდია, ეს არის მთავარი.

— უკვე შვიდი წელია, უმაღლეს ლიგაში თამაშობ — რომელი იყო შენი საუკეთესო სეზონი?

— საუკეთესო სეზონი წინ მაქვს, ისე, ამ სეზონის პირველი ეტაპიც კარგად ჩავატარე — „ტორპედოს“ ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გაშვებული.

— ამ სეზონში „ტორპედო“ წარმატებით კი თამაშობს, მაგრამ ქუთაისში რომ უწინდელზე ნაკლები მაყურებელი დადის სტადიონზე, ამას რას დააბრალებდი?

— წინა სეზონში ზეექვსეულში რომ ვერ მოვხვდით, მაყურებელთა მკვეთრი კლება ამან გამოიწვია. მაგრამ ზამთრის შესვენების მერე „ტორპედოს“ თამაშებს გულშემატკივარი მოემატება.

— ახლაც თუ მოდიოდნენ „ტორპედოს“ გულშემატკივრები ფეხბურთელებთან სასაუბროდ ბაზაზე, როგორც ეს ადრე ხდებოდა?

— ეს მაშინ იყო, როცა 2002 წელს ჩემპიონები გავხდით — გულშემატკივრები ბაზაზე მოდიოდნენ, გველაპარაკებოდნენ, გვეკითხებოდნენ... ამ ბოლო დროს ასე აღარ არის.

— მაყურებლის ფაქტორის მიხედვით, „ტორპედოში“ თამაში უფრო ადვილია თუ რომელიმე თბილისურ გუნდში?

— უბრალოდ, ქუთაისში მომთხოვნი გულშემატკივარია, თორემ ქუთაისში თამაში ძნელი არ არის, პირიქით, სულ მაქსიმუმს ვცდილობ.

— როგორ ფიქრობ, დღესდღეობით საქართველოში ყველაზე სიმპათიური გუნდი რომელია?

— „დინამო“ და მერე „თბილისი“.

— ახალგაზრდა მეკარეებიდან ვის გამოარჩევდი?

— ტორპედოელ ნუკრი რევიშვილს, ვისაც მალე თავის გამოჩენის შანსი მიეცემა და მერწმუნეთ, თავის სიტყვას იტყვის. „თბილისის“ ბექა შეყრილაძეც უნდა გამოვარჩიო, ის ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

— 26 წლის ხარ და, როგორ ფიქრობ, კიდევ შეგიძლია თამაშს მოუმატო?

— ქართველი მეკარისთვის ძალიან ძნელია უცხოეთში სათამაშოდ წასვლა. მინდა, საქართველოში ვითამაშო და არა სხვაგან წავიდე და სკამზე ვიჯდე. ჩვენი ჩემპიონატის დონე ძალიან დაბალი ნამდვილად არაა. ფეხბურთელი ვარ და უფრო მეტი, „ტორპედოზე“ უკეთეს გუნდში თამაში მინდა.

**დავით თავართქილაძე**

*ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჩამთავრდა და ეს იმას ნიშნავს, რომ ვისაც შნო და ფული აქვს, ახალი ფეხბურთელების შემატებას ეცდება. მეორე ეტაპისთვის გაძლიერებას აპირებს თბილისის „ლოკომოტივიც“...*

# ლოკომოტივი შორს წავიდა
## ჯემალ ჩიმაკაძეს ბრაზილიელი ბიჭები მოჰყავს

„ლოკომოტივმა“ ბრაზილიაში მიავლინა თავისი სელექციონერი ჯემალ ჩიმაკაძე, რათა მან იქიდან ახალგაზრდა ფეხბურთელები ჩამოიყვანოს. ბრაზილიაში მოთამაშე სახელიან ფეხბურთელებს „ლოკომოტივი“ ალბათ ვერ შესწვდება და იქ ჩიმაკაძეც იმიტომ გაუშვა, რომ ახალგაზრდა და ჯერაც სახელდაუგდებელი მოთამაშეები გამოძებნოს გუნდისთვის.

ჩიმაკაძე საქართველოში რამდენიმე დღეში დაბრუნდება და როგორც შევიტყვეთ, ორ-სამ ბრაზილიელ ახალგაზრდასაც ჩამოიყვანს.

**დავით თავართქილაძე**



ჯემალ ჩიმაკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მელქაძეს 20 უნდა
## თუ დასჭირდა, 30 იყოს

*ხვალინდელი სათასო მატჩიც „ზესტაფონთან“ და თბილისის „დინამო“ უჩვეულოდ გადატვირთული შემოდგომის შემდეგ დაისვენებს.*

*უჩვეულოდ დატვირთული შემოდგომაო, ვთქვით და, სეზონის დასაწყისში, აბა, ვინ იფიქრებდა, „დინამო“ ევროსარბიელზე თამაშს ზამთარში თუ დაამთავრებდა?! უეფას თასზე მონაწილეობამ კი თბილისელებს ბევრი ენერგია დააკარგვინა და ემანდ, ყველაზე მეტად დასვენება სწორედ „დინამოს“ სჭირდებოდეს.*

*და მიუხედავად თამაშების ასეთი მჭიდრო გრაფიკისა, „დინამომ“ მოახერხა და ჩემპიონატის პირველი ეტაპი მაინც ლიდერად ჩაამთავრა, მისმა მეგოლე ლევან მელქაძემ კი თანაბომბარდირად — 12 გოლი ურიგო შედეგი არ უნდა იყოს...*



გაგდი ქათიაშვილის ფოტო

— პირველი ეტაპის შედეგით კმაყოფილები კი ვართ, მაგრამ, ვფიქრობთ, მეტიც შეგვეძლო — გვითხრა გუშინ ლევან მელქაძემ — „დინამოს“ 5-6 ქულით მეტის დაგროვებაც შეეძლო. ქულები დავკარგეთ „ლოკომოტივთან“ პირველ წრეში, „კოლხეთთან“, „ბათუმთან“ და უშუალო კონკურენტ „ტორპედოსთან“. ვერ ვიტყვი, რომ ამ მეტოქეებთან ყველა მატჩი მოსაგები გვქონდა, მაგრამ რამდენიმე ქულით მეტის მოპოვება ნამდვილად შეგვეძლო.

**— და ეს რატომ ვერ შეძელით?**

— ბათუმში, მაგალითად, „ვისლასთან“ მატჩის მერე ვითამაშეთ და ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა. „კოლხეთს“ „ნიუკასლის“ მერე ვესტუმრეთ, „თბილისთან“ „სოშოსთან“ შეხვედრის შემდეგ წავაგეთ. იმის თქმა მინდა, რომ უეფას თასის თამაშების მერე ძალების ბოლომდე აღდგენას ვერ ვასწრებდით და, ცოტა არ იყოს, გადაღლილები ვიყავით. და მაინც, პირველი ეტაპის ბოლოს უფრო მოვინდომეთ და ლიდერობა დავიბრუნეთ.

**— ყველაზე მეტად რომელ თამაშში გაგიჭირდათ?**

— ალბათ „ლოკომოტივთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ პირველ წრეში. ეს გუნდები ჩვენთვის ყოველთვის უხერხული მეტოქეები იყვნენ და კვლავაც დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს.

**— პირადად შენ ვისთან გაგიჭირდა?**

— „ლოკომოტივთან“. ამ გუნდისთვის გოლის გატანას იშვიათად ვახერხებდი, მაგრამ ახლა ნავსი გავტეხე, ერთბაშად ოთხი გოლი გავიტანე და მიუხედავად ამისა, გამიჭირდა.

**— ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც „ლოკომოტივი“ იქნება „დინამოს“ მთავარი კონკურენტი?**

— „ლოკომოტივიც“, „ტორპედოც“ და „თბილისიც“. აგერ, პირველი ეტაპის მერე „თბილისი“ მნიშვნელოვნად წამოგვეწია და მათგან გაზაფხულზეც დიდ წინააღმდეგობას უნდა ველოდოთ.

**— ამბობენ, ამ შესვენებაზე „ტორპედოს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დატოვებსო. მაინც კონკურენტად მიიჩნევ ქუთაისურ გუნდს?**

— რა თქმა უნდა. „ტორპედო“, თუნდაც დასუსტებული, ჩვენთვის მაინც პრობლემა იქნება. მით უმეტეს, ახლა, როცა ქუთაისელებს პირველობის შანსი აქვთ. ისე, არა მგონია, ისე დასუსტდნენ, საჩემპიონო ბრძოლაში ჩამოგვშორდნენ.

**— ეს ნახევარსეზონი შენთვის რამენაირად გამორჩეული თუ იყო?**

— რა თქმა უნდა, გამორჩეული იყო, „დინამომ“ ხომ უეფას თასზე ათი თამაში ჩაატარა. ისე კი, საერთაშორისო შეხვედრებს თუ არ ჩავთვლით, ჩვეულებრივი სეზონია.

**— უეფას თასის ჯგუფში თამაშმა რა შეგძინათ?**

— გამოცდილება მივიღეთ. გაისად საერთაშორისო სარბიელზე უკეთ ვითამაშებთ. ჩვენთვის, ახალგაზრდული გუნდისთვის ძალიან დიდი სკოლა იყო „ნიუკასლთან“ და „სოშოსთან“ მატჩები. ჩვენ პირისპირ ვეთამაშეთ შირერს, კლუივერტს და სხვა ვარსკვლავებს. ვნახეთ სულ სხვა ატმოსფერო, რაც სამომავლოდ, დარწმუნებული ვარ, „დინამოს“ განვითარებას წაადგება.

**— როგორ ფიქრობ, უეფას თასზე ყველაზე უკეთ რომელ მეტოქესთან ითამაშეთ?**

— მე მგონი, „სოშოსთან“ მეორე ტაიმში.

**— „ვისლას“ და „სლავიას“ რატომ არ ახსენებ?**

— როგორ არ ვახსენებ, მათთან მართლაც ძალიან კარგად ვითამაშეთ, „სოშო“ კი ჯგუფური ეტაპის მატჩებიდან გამოვარჩიე.

**— თვლი, რომ უეფას თასის ჯგუფში თამაში სადღეისოდ „დინამოსთვის“ მაქსიმუმი იყო?**

— არა, მაქსიმუმი არ იყო. მეტიც შეგვეძლო, მაგრამ ყოველთვის ისე არ ხდება ხოლმე, როგორც გსურს. „დინამოს“ შედეგით, ვფიქრობ, ყველა კმაყოფილი უნდა იყოს, ჩვენი გუნდი ხომ, ფაქტობრივად, ზედ სეზონის დაწყების წინ ჩამოყალიბდა. უმეტესობა გამოუცდელი ბიჭები იყვნენ.

**— „დინამოს“ და ჩემპიონატის ბომბარდირს, აბა, „პანიონიოსთან“ გახმაურებულ თამაშზე როგორ არ გკითხო... რა მოხდა ათენში?**

— არაფერი განსაკუთრებული. ხშირად ხდება ხოლმე, ვიგებდით და მერე წავაგეთ. ვერ გეტყვით, უეფას ეჭვის საფუძველი რამ მისცა, დარწმუნებული კი ვარ, რომ „დინამო“ არანაირ გარიგებაში არ მონაწილეობდა.

**— მაინც, უეფას რატომ უნდა ეთქვა, მატჩი გარიგებულს ჰგავდაო?**

— ჩემი აზრით, ამხელა ამბავი რომ ატყდა, დამნაშავე ტოტალიზატორია. ეტყობა, ბუქმეიკერებმა დიდი ფული წააგეს და „პანიონიოს“ — „დინამოს“ შედეგი საეჭვოდ ამიტომაც მოეჩვენათ.

**— და კიდევ, კვირას ზესტაფონში თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩი გელით. თბილისში 2:1 კი მოიგეთ, მაგრამ ეს ანგარიში მშვიდად ყოფნის საშუალებას არ გაძლევთ.**

— ზესტაფონში ძალიან რთული და დაძაბული თამაში რომ იქნება, დარწმუნებული ვარ. თუმც ისიც მჯერა, რომ შემდეგ ეტაპზე „დინამო“ ითამაშებს. თბილისში მეტი სხვაობითაც უნდა მოგვეგო, მაგრამ ძნელია გაიტანო, როცა მეტოქე დაცვაში მთელი გუნდით თამაშობს.

**— ბოლოს კი ჩემპიონატზეც. 12 გოლი უკვე გაიტანე, კიდევ რამდენს გეგმავ?**

— ჩემპიონატის ბოლოს 20 გოლი თუ მომიგროვდა, კმაყოფილი ვიქნები.

**— და ეს ბომბარდირობისთვის საკმარისი იქნება?**

— საკმარისი თუ არ იქნება, მაშინ 30-ს გავიტან...

**ჟოჟა ინასარიძე**



# სიომინის ფსიქოანალიზი
## თურმე როდის დაითარსა მიშა

**2004 წელი** მიხეილ აშვეთიასთვის ყველანაირად უიღბლო გამოდგა. ჯერ იყო და, მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველმა თავდამსხმელმა ოფიციალურ მატჩებში გოლის გატანა ვერ შეძლო, მერე კი ზედიზედ ორჯერ უმძიმესი ტრავმა მიიღო და სეზონიც ნაადრევად დაასრულა.

აშვეთიას უიღბლობაზე რკინიგზელთა თავკაცმა იური სიომინმაც ილაპარაკა და ასეთი კომენტარი გააკეთა: „გეხსომებათ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „მონაკოსთან“ ჩვენი მატჩები. ფრანგებმა რომ გამოგვაგდეს, ვიფიქრე, ცხოვრება დამთავრდა-მეთქი. არადა, რა ახლოს ვიყავით მეოთხედფინალთან. მიშა აშვეთიას ხელსაყრელი მომენტი რომ გამოეყენებინა და ის გოლი გაეტანა, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. ამის შემდეგ კი სხვა თავსატეხიც გაგვიჩნდა — გაფუჭებულმა მომენტმა აშვეთია „გაგვიჩერა“. მიშას უკვე აღარ უმართლებდა. ასეთი რამ ფეხბურთში ხდება. თუმც მიხარია, რომ ჩვენ ეს რთული დრო გადავიტანეთ და, რაც მთავარია, გადავიტანეთ ყველამ ერთად“.

აქვე გეტყვით, რომ აშვეთიამ უკვე განაახლა ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიში და როცა „ლოკომოტივს“ შვებულება დაუმთავრდება, გუნდს უცხოურ შეკრებაზეც გაჰყვება.

**ქახა შალამბერიძე**

# გოგა გახოკიძის ძველ-ახალი

**დაახლოებით** სამი კვირის წინ ვწერდით, გოგა გახოკიძე ჰოლანდიურ „ტვენტეში“ ბრუნდებაო და ასეც მოხდა. დონეცკის „მეტალურგიდან“ წასული ქართველი ნახევარმცველი ყოფილ გუნდს უკვე შეუთანხმდა და კონტრაქტიც გააფორმა.

გახოკიძე „ტვენტეში“ სეზონის ბოლომდე ითამაშებს, თუმც უფრო დიდი ხნითაც რომ დარჩეს, გასაკვირი არ იქნება. ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკებისას ითქვა, რომ მხარეები სეზონის ბოლოს ერთხელაც შეხვდებიან ერთმანეთს.

„ტვენტე“ ჩვენებურს საჩემპიონატო განაცხადში 2005 წლის 1 იანვარს შეიყვანს და გოგაც გუნდის ოფიციალური წევრი მაშინ გახდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# რუსულ დივიზიაში ქართველები არ აიყვანეს

**კახა ცხადაძე,** კახა მჟავანაძე, პაატა ჯინჭარაძე, გიზო ჯელაძე, ლევან ბერიშვილი, გიორგი ლომაია, ვალერი აბრამიძე, ედიკ საჯაია, რევაზ გოცირიძე, ვასილ გიგიაძე, კოტე მელქაძე, თემურ გადელია, ზაზა ჯანაშია, რომან ახალკაცი — ესენი გასულ სეზონში რუსეთის პირველ დივიზიონში თამაშობდნენ. ჩამოთვლა კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ რუსი ჟურნალისტების გამოკითხვით, პირველი დივიზიონის წლის საუკეთესო ოცეულში ერთიც ვერ მოხვდა.

გამოკითხვა „სპორტ-ექსპრესის“ თაოსნობით მოეწყო და გამარჯვებული გროზნოს „ტერეკის“ ლიდერი ანდრეი ფედკოვი გახდა.

საინტერესოა, რომ 2002 წელს პირველი დივიზიონის საუკეთესო ფეხბურთელი ჩვენებური დავით ჩალაძე გახდა, რომელიც მაშინ ყაზანის „რუბინში“ თამაშობდა. ჩალაძემდე ეს ტიტული მხოლოდ ორ ლეგიონერს რგებია — 1996 წელს სომეხ კარაპეტ მიკაელიანს, 1998 წელს კი ბრაზილიელ ანდრადინას.

**ლუკა თალაკვაძე**

**დავით ყიფიანის თასი**

**მერვედფინალი. საპასუხო მატჩი**

ზესტაფონი. 12 დეკემბერი. 13 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — დინამო (1:2)**

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

გუდისონ პარკი. დღეს. 15.45

# ევერტონი vs ლივერპული

# საუკუნის შანსი

## მოიგე, რომ იყო ამაყი

**ამ საუკუნეში** „ევერტონი“ არასდროს ყოფილა ისე ახლოს მიზანთან, როგორც დღესაა. ევერტონელთა მიზანი არ არის ჩემპიონობა, ამაზე ოცნებას თუ გაბედავენ, მაგრამ „ლივერპულის“ დამარცხება...

პრემიერლიგის ცხრილი გვამცნობს, რომ „ევერტონი“ მესამე ადგილზეა, მხოლოდ ქულით ჩამორჩება ჩემპიონ „არსენალს“ და ექვსი ქულით ლიდერ „ჩელსის“. მაგრამ გუნდის ფანებს ანგარიშის თავისი საზომიც აქვთ: „ევერტონი“ ცხრა ქულით უსწრებს „ლივერპულს“ და გულშემატკივართა დიდი ნაწილისთვის სწორედ ეს ცხრაქულიანი სხვაობაა მთავარი.

თავში საუკუნე ვახსენეთ. „ევერტონმა“ „ლივერპულს“ ბოლოს 1999 წლის სექტემბერში მოუგო. იმ მატჩის მონაწილეთაგან დღეს „ევერტონში“ მხოლოდ დევიდ ვეირი და კევინ კემპბელი არიან დარჩენილები. „ზოგადად თამაში სამი ქულისთვის მიდის — თქვა მერსისაიდული დერბის წინ ვეირმა — მაგრამ არის მატჩებიც, რომელთა მოგებაც ღირსების საქმეა და რომელთა მოგების მერეც ამაყად თავაწეულმა შეგიძლია იარო“.

„დიახ, ჩვენ შეგვიძლია „ლივერპულის“ დამარცხება — დასძინა ევერტონელთა მთავარმეგოლე მარკუს ბენტმა — მაგრამ დერბის მუდამაც ის არის, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რომელ ადგილზეა და როგორ ფორმაშია. „ლივერპულმა“ შეიძლება ბევრი თამაში წააგოს, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ ბოლომდე იბრძოლებს“.

თუმცა ჩვენ მაინც ვთქვათ, რომ „ევერტონი“ ამ სეზონში ძალიან ძლიერად თამაშობს და ამიტომაც არის მესამე ადგილზე, „ლივერპულმა“ კი შუა კვირაში „ოლიმპიაკოსის“ ძლევით დაიბრუნა საკუთარი თავის რწმენა, რაც სეზონის დაწყებისას აკლდა.

ლივერპულის წითელი ნაწილის მთავარი იმედიც დიდი დერბის წინ „ოლიმპიაკოსთან“ მატჩის გმირი სტივენ ჯერარდია. არანაკლებ ფორმაში არიან ფლორენ სინამა-პონიოლი, ნილ მელორი და სასტარტო შემადგენლობაში კვლავ დაბრუნებული მილონ ბაროში. „ევერტონში“ კი ფიქრობენ, რომ დანკან ფერგიუსონიც ითამაშებს, ვინაც წინა ტურში შუბლის უმნიშვნელო ტრავმა მიიღო.

**ირაკლი ნინიძე**




# ჩვენთან ერთად, სტივ!

## ლივერპულს და ჯერარდს ერთმანეთი სჭირდებათ

„**ლივერპულმა**“ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ მისი კაპიტანი სტივენ ჯერარდი არსად გადავა. „ოლიმპიაკოსთან“ თამაშის წინ ჯერარდმა თქვა, რომ ტიტულებისთვის სწადია ბრძოლა, რითაც მიანიშნა, რომ „ლივერპული“ ჩემპიონთა თასს გამოეთიშება და ის „ჩელსიში“ გადავა. რომან აბრამოვიჩის ხალხი საიანვრო ფანჯრისთვის ჯერარდის გადაბირებას გეგმავდა და „ლივერპულს“ 35 მილიონ გირვანქას სთავაზობდა. ფასი მაღალი იმიტომაც იყო, რომ ზაფხულში ჯერარდმა კონტრაქტი გაანახლა „ლივერპულთან“, ოთხშაბათს კი თავად გაიყვანა გუნდი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. ხოლო გუშინ კლუბის პასუხისმგებელმა შეფმა რიკ პერიმ თქვა: „სტივი არსად წავა. ამის შანსი არ არსებობ. ჩვენი პოზიცია მყარია, არ გავუშვებთ. ჩვენ შეგვიძლია მისი სურვილების დაკმაყოფილება და მისი ამბიციის ასრულებისთვის ბრძოლა. მან თქვა, რომ სწორედ „ლივერპულთან“ ერთად უნდა ჯილდოს მოგება. რაფა ბენიტესი აქ იმისთვის არ მოსულა, რომ პრემიერლიგაში მეოთხე იყოს. ბოლო სამ წელიწადს ის ევროპაში საუკეთესო იყო და აქაც ასე იქნება. ეს სტივმაც იცის“.

სტივის რაფაც აიმედებს: „მას შეუძლია ჩვენთან ერთად მოიგოს ყველაფერი. ჩვენ კი თუ თამაშების მოგება გვინდა, სტივი გვჭირდება. მე მესმის მისი, მეც მინდა მოგება“.

ჯერარდს ნაკაპიტნარი სემი ჰიიპიაც ამხნევებს: „ჩვენ გვინდა მასთან ერთად. ის ჩვენი კაპიტანი და ლიდერია“. თავად ჯერარდი კი ახლა „ოლიმპიაკოსის“ კარში გატანილ გოლზე უფრო ლაპარაკობს: „ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი გოლი იყო, ეგებ ის გარდამტეხიც გამოდგეს კლუბისთვის ფინანსური თვალსაზრისითაც. შაბათს მერსისაიდული დერბი გვაქვს „ევერტონთან“, კარგი იქნება, თუ იქაც გამომივა“.

მოკლედ, ჯერარდი დარჩება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ინგლისი

ირაკლი ნინიძე

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ევერტონი | : | ლივერპული |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ჩარლტონი |
| კრ. პალასი | : | ბლექბერნი |
| სიტი | : | ტოტენჰემი |
| ნიუკასლი | : | პორტსმუთი |
| ნორვიჩი | : | ბოლტონი |
| საუთჰემპტონი | : | მიდლსბრო |
| **ხვალ** | | |
| არსენალი | : | ჩელსი |
| ასტონ ვილა | : | ბირმინგემი |
| **ზეგ** | | |
| ფულემი | : | მანჩესტერი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 16 | 12 | 3 | 1 | 31:6 | 39 |
| არსენალი | 16 | 10 | 4 | 2 | 42:20 | 34 |
| ევერტონი | 16 | 10 | 3 | 3 | 20:14 | 33 |
| მანჩესტერი | 16 | 8 | 6 | 2 | 22:10 | 30 |
| მიდლსბრო | 16 | 8 | 4 | 4 | 27:20 | 28 |
| ასტონ ვილა | 16 | 6 | 7 | 3 | 21:17 | 25 |
| ლივერპული | 15 | 7 | 3 | 5 | 24:17 | 24 |
| ბოლტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 24:22 | 23 |
| პორტსმუთი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:22 | 21 |
| ჩარლტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:27 | 21 |
| სიტი | 16 | 5 | 5 | 6 | 21:17 | 20 |
| ნიუკასლი | 16 | 5 | 5 | 6 | 27:31 | 20 |
| ტოტენჰემი | 16 | 5 | 4 | 7 | 15:17 | 19 |
| ფულემი | 16 | 5 | 2 | 9 | 18:27 | 17 |
| ბირმინგემი | 16 | 2 | 8 | 6 | 12:18 | 14 |
| კრ. პალასი | 16 | 3 | 4 | 9 | 17:24 | 13 |
| ბლექბერნი | 16 | 2 | 7 | 7 | 16:30 | 13 |
| საუთჰემპტონი | 16 | 2 | 6 | 8 | 15:24 | 12 |
| ნორვიჩი | 16 | 1 | 9 | 6 | 14:26 | 12 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 1 | 7 | 8 | 15:31 | 10 |

# ხვალინდელ პროგრამაში ფანტასტიკაა



არსენ ვენგერი



ჟოზე მაურინიუ

**პრემიერლიგის** ამ ტურში ერთი დიდი დერბია — მერსისაიდული. ერთიც პატარა, ბირმინგემული. ამათ გარდა კი არის „არსენალი“ — „ჩელსი“, რომელსაც, გნებავთ, საჩემპიონო მატჩი დავარქვათ.

„ჩელსიმ“ „მეთოფეებს“ ჩემპიონატში ბოლოს 1995 წელს მოუგო, ოღონდ „სტემფორდ ბრიჯზე“, „ჰაიბერიზე“ კი მთელი 14 წელი არ მოუგია. ეგებ ნავსი ახლა გატყდეს, რაკი წლევანდელი „ჩელსი“ დიდად განსხვავდება აბრამოვიჩისამდელი გუნდისგან. ისიც არის, რომ „არისტოკრატები“ უძლიერესი შემადგენლობით ესტუმრებიან თანაქალაქელებს, მასპინძლებს კი პატრიკ ვიეირა არ ეყოლებათ, ვისაც ხუთი გაფრთხილება დაუგროვდა და მაინცდამაინც საამმატჩოდ არის დისკვალიფიცირებული. ამის თაობაზე ფრენკ ლამპარდმა თქვა, ჩვენთან საქმე ისეა აწყობილი, რომ წითელ-ყვითელ ბარათებს სულელურად არავინ იღებს, „არსენალში“ კი, ეტყობა, სხვაგვარადაა და აგერ შედეგიცო.

თუმც კრიტიკოსები „ჩელსის“ სხვა რამეს ახსენებენ — შუა კვირაში „პორტუსთან“ დამარცხებას, რაც ჟოზე მაურინიუს გულთან ახლოს არ მიაქვს: „პორტუსთან“ და „არსენალთან“ მატჩებს შორის კავშირს ვერ ვხედავ, ერთი კი შემიძლია ვთქვა, „არსენალი“ — „ჩელსი“ ფანტასტიკური თამაში იქნება, მას მთელი მსოფლიო ნახავს და ვეცდებით, კარგი სანახაობაც გამოვიდეს“.

ფრენკ ლამპარდმა კი „პორტუსთან“ მარცხზე თქვა: „ახლა უფრო გვწყურია მოგება“.

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვებია, უფრო მნიშვნელოვანი ის პრობლემებია, არსენ ვენგერს ერთბაშად რომ დაატყდა თავს. პატრიკ ვიეირაზე უკვე ვთქვით, მის გარდა ედუ და ჟილბერტო არ ეყოლება ტრავმების გამო. შაკიკი აწუხებს ფრედი ლიუნგბერგსაც და საბოლოო ჯამში „მეთოფენი“, ისე ჩანს, ფრანსისკ ფაბრეგასის და მეტიუ ფლემინის იმედად არიან ნახევარდაცვაში. ეს კი საკმარისი არ უნდა იყოს.

სხვა მატჩები თითო-ოროლა წინადადებით მოვიხსენიოთ.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ „ფულემთან“ რუდ ვან ნისტელროი დაუბრუნდება, რომელმაც წინა ორი მატჩი გამოტოვა.

ბირმინგემულ დერბიში „ასტონ ვილას“ ტრავმამოშუშებული გევინ მაკკანიც ეყოლება, ვინაც ახლახან მოიშუშა მუხლი, დარიუს ვასელი კი კვლავ ლაზარეთშია. ხოლო „ბირმინგემს“ სტინ ლაზარიდისი დაუბრუნდა.

„საუთჰემპტონს“ ნილ მაკკანი, მარიან პახარსი და მეთიუ ოკლი დააკლდება „ბოროსთან“ შეხვედრისას, სამაგიეროდ, მეკარე ანდი ნიემი დაუბრუნდება.

„ნიუკასლს“ კი საშუალება აქვს ისევ ათამაშოს ალან შირერი, ვისაც რამდენიმე მატჩი გაუცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

პაპუნა ქედია

# გახურდით შეხურებამდე

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატალანტა | : | უდინეზე |
| ლაციო | : | ლეჩე |
| **ხვალ** | | |
| ბოლონია | : | იუვენტუსი |
| ბრეშა | : | რომა |
| კიევო | : | პალერმო |
| ლივორნო | : | პარმა |
| მილანი | : | ფიორენტინა |
| რეჯინა | : | კალიარი |
| სამპდორია | : | მესინა |
| სიენა | : | ინტერი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 14 | 11 | 2 | 1 | 27:7 | 35 |
| მილანი | 14 | 9 | 4 | 1 | 21:9 | 31 |
| უდინეზე | 14 | 7 | 4 | 3 | 21:13 | 25 |
| კალიარი | 14 | 6 | 4 | 4 | 22:22 | 22 |
| პალერმო | 14 | 5 | 6 | 3 | 12:9 | 21 |
| ინტერი | 14 | 3 | 11 | 0 | 30:22 | 20 |
| ლეჩე | 14 | 5 | 5 | 4 | 27:23 | 20 |
| ფიორენტინა | 14 | 4 | 7 | 3 | 14:11 | 19 |
| სამპდორია | 14 | 5 | 3 | 6 | 10:11 | 18 |
| მესინა | 14 | 4 | 6 | 4 | 18:23 | 18 |
| რომა | 14 | 4 | 5 | 5 | 24:22 | 17 |
| კიევო | 14 | 4 | 5 | 5 | 12:17 | 17 |
| ბრეშა | 14 | 5 | 2 | 7 | 13:19 | 17 |
| ლაციო | 14 | 4 | 4 | 6 | 16:17 | 16 |
| ლივორნო | 14 | 4 | 4 | 6 | 15:19 | 16 |
| რეჯინა | 14 | 4 | 4 | 6 | 11:15 | 16 |
| ბოლონია | 14 | 3 | 4 | 7 | 13:17 | 13 |
| პარმა | 14 | 2 | 6 | 6 | 15:22 | 12 |
| სიენა | 14 | 2 | 5 | 7 | 8:21 | 11 |
| ატალანტა | 14 | 0 | 7 | 7 | 11:21 | 7 |

**„სან სიროზე“** „მილანი“ „ფიორენტინას“ ხვდება. უთუოდ საინტერესო მატჩია, მაგრამ ერთიცაა: ამ ტურში ჩასატარებელი „მილანი“ — „ფიორენტინაცა“ და „ბოლონია“ — „იუვენტუსიც“ დამოუკიდებელ შეხვედრებზე მეტად „იუვენტუსი“ — „მილანის“ ანონსი თუ შემდეგი ტურის დიდი მატჩის წინა გახურებაა. დიახ, შემდეგ შაბათს, 18 დეკემბერს, „სტადიო დელე ალპიზე“ „ბებერი ქალბატონი“ ჩემპიონს მასპინძლობს და ამით 2004 წლის იტალიურ ფეხბურთს წერტილი ესმება — ჩემპიონატის პირველი ნახევრის მთავარი თამაშიც ეგ არის და ბოლოც. იმის შემდეგი ტური უკვე 6 იანვარს იქნება, მაგრამ სიტყვა გაგვექცა. ამჯერად ჩვენი ამოცანა კონკრეტულად დღევანდელი და ხვალინდელი თამაშების ანონსირებაა და ამიტომ „სან სიროზე“ დავბრუნდეთ, სადაც, როგორც გითხარით, ფლორენციელები სტუმრობენ.

ამბობენ, რომ „ფიორენტინას“ წინააღმდეგ კარლო ანჩელოტი საუკეთესო შემადგენლობას დაგეშავს და ამაში გასაოცარი არაფერია, რადგან იტალიის ჩემპიონატი ორი გუნდის დოლს (იგულისხმება ზემოხსენებული „მილანი“ და „იუვენტუსი) ემსგავსება. ასეთ დროს კი — მით უფრო ამ გუნდების შეხვედრის წინ — თითოეული ქულა უკიდურესად მნიშვნელოვანია. ერთი სიტყვით, „მილანის“ თავდასხმაში ანდრეი შევჩენკოსა და ერნან კრესპოს წყვილს უნდა ველოდოთ, რომელსაც ოდნავ უკნიდან კაკა დაეხმარება. ალბათ, არ ითამაშებს კახა კალაძე.

„ბოლონია“ „იუვენტუსს“ უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ წინა ტურში „ბებერმა ქალბატონმა“ შინ, „ლაციოსთან“ გვარიანად ინერვიულა — ჯერ გაუშვა, შემდეგ კი ორი შეაგდო. იმ თამაშთან შედარებით „შავ-თეთრების“ შემადგენლობაში მთავარი განხსვავება პაველ ნედვედის დაბრუნება (მაშინ გრიპი ჰქონდა) იქნება. გარდა ამისა, ვერ ითამაშებს „ლაციოს“ კარში მეორე გოლის ავტორი რუბენ ოლივეირა, რომელმაც ბარძაყი იტკინა და მის ნაცვლად მოედნის ცენტრშივე მანუელე ბლაზი იტრიალებს.

რაც შეეხება „ბოლონიას“, მისი მთავარი პრობლემა ბოლო დროს გოლების სიმწირე გახლდათ, მაგრამ ახლა, როდესაც ყოფილ იუვენტუსელ თავდამსხმელს, ჯაკომო ჩიპრიანის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გაუვიდა. შესაძლებელია პრობლემა სწორედ „ბებერ ქალბატონთან“ შეხვედრაში მოიხსნას.

მესამე ადგილზე მიმავალი „უდინეზე“ ბერგამოში „ატალანტას“ ხვდება — „ატალანტა“ აუტსაიდერია, მაგრამ დებიუტანტი მწვრთნელი ჰყავს, დელიო როსი, რომელიც ბუნებრივია, სამსახურის ეფექტურად დაწყებას შეეცდება. უდინელებს არ ჰყავთ წინა ტურში დისკვალიფიცირებული ჯანპიერო პინცი, ხოლო ტრავმირებულების, პერ კროლდრუპის და ფელიპეს თამაში საეჭვოა, მაგრამ შეხვედრის ფავორიტი უთუოდ მაინც ისინი არიან, რადგან ბოლო შვიდი თამაშიდან ექვსი მოიგეს, ეს კი ბევრს ნიშნავს.

სტუმრად თამაშობს მეოთხეზე მყოფი, ჯანფრანკო ძოლას „კალიარიც“, ერთი რამ ნაღდია, სარდინიელები 4-3-3 სქემის მიხედვით ითამაშებენ. ეს სწორედ ის სქემაა, რომელმაც მათ თვალშისაცემი პროგრესი მოუტანა. მოსალოდნელია, როგორც ძოლას, ასევე ესპოზიტოს და ლანგელას თამაში.

„სიენა“ „ინტერს“ მასპინძლობს ანუ სიენელთა მწვრთნელმა ჯიჯი სიმონიმ თავისი ოდინდელი გუნდის დამარცხებაც კი უნდა მოიწადინოს, თორემ ბოლოსწინა ადგილზეა. „სიენაში“ ყურადღება მიაქციეთ შიდა დისკვალიფიკაციიდან დაბრუნებულ ტადეის.




„იუვენტუსს“ პაველ ნედვედი უბრუნდება




# ზლატანი ტურინში ოქროს ბურთს მეძებს

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** იმედოვნებს, რომ „იუვენტუსში“ გადასვლით ადრე თუ გვიან „ოქროს ბურთს“ გამოჰკრავს ხელს.

„მინდა საუკეთესოთა შორის საუკეთესო ვიყო და ამიტომ მომავალში, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მჭირდება — განაცხადა შვედეთის ნაკრების თავდამსხმელმა — მეორე ადგილზე ყოფნა ჩემთვის არაფერს ნიშნავს. დღეისთვის, მართალია, შედარებით მოკრძალებულ პოზიციაზე ვარ, მაგრამ პოტენციალის სრულად გამოსამჟღავნებლად მუხლჩაუხრელად ვმუშაობ“.

მოკრძალებული პოზიცია რომ ახსენა „იბრამ“, ალბათ ის იგულისხმება, რომ „ფრანს ფუტბოლმა“ „ოქროს ბურთის“ მაძიებელთა იმ 50-კაციან სიაში შეიყვანა, რომლიდანაც ევროპელ ჟურნალისტებს თავიანთი ფავორიტი უნდა აერჩიათ. ამბობენ, რომ ეს ფავორიტი უკრაინელი ანდრეი შევჩენკო იქნება, თუმცა ოფიციალურად ეს ჯერ არავის დაუდასტურებია.

შეგახსენებთ, რომ იბრაჰიმოვიჩი ტურინში „აიაქსიდან“ გასულ ზაფხულს გადავიდა. ტურინელებს მისი ყიდვა 11,5 მილიონი ინგლისური გირვანქა დაუჯდათ და ძალიან ეფექტური იყო ის, რომ ტრანსფერი ბოლო დღეს განხორციელდა. შემდეგ, „იუვენტუსში“ გადასული შვედი ახალ გუნდს ძალიან კარგად შეერგო, რისი დასტურიც დღეისთვის სერია A-ში გატანილი შვიდი გოლია.

„მე ვეთაყვანები ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც თამაშს დაღს ასვამენ და განსხვავებას ქმნიან, ასეთია მაგალითად, რონალდო — დასძინა 23 წლის ვარსკვლავმა — მაგრამ ამწუთას ნებისმიერ სხვა თემაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის „ბოლონიასთან“ მოახლოებული შეხვედრაა, და თვით მატჩი „მილანთან“ მხოლოდ ამის მერე გახდება საყურადღებო“.

**პაპუნა ქედია**

# რეკობას სამადლობელი

## მეორეებში პირველი ბარსელონაა

**ალვარო რეკობამ** აღიარა, რომ ერთიხანობა „ინტერიდან“ წასვლაზე ფიქრი გულში, დიახაც, გაივლო, მაგრამ ამასთანავე დასძინა, რომ ამ ეტაპზე არსადაც არ მიდის.

„გასულ კვირას, როდესაც გავიგე, რომ „მესინასთან“ არ მათამაშებდნენ, საკუთარ თავს ვკითხე, თუ რაღას ვაკეთებდი აქ, მილანში, მაგრამ რობერტო მანჩინიმ განმიმარტა, რომ ხუან ვერონის არყოფნაში ის იძულებული იყო ოთხი ნახევარმცველით ეთამაშა და ამდენად ჩემი შემადგენლობის მიღმა დატოვება ტაქტიკური მოსაზრებებით იყო განპირობებული. ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე ეს განმარტება მივიღე“ — თქვა რეკობამ, რომელიც „ინტერის“ მეპატრონის, მასიმო მორატის ერთ-ერთ ფავორიტად გახლავთ ცნობილი.

„მორატის მადლობელი ვარ და ვაცხადებ, რომ ჩემი თამაშით მისი ამაგი ჯერ არ გადამიხდია. ამიტომაც მაქვს დიდი იმედი, რომ ამის საშუალება მომავალში მომეცემა. კვლავ და კვლავ მოხარული ვარ, რომ თავის დროზე მან ჩემი გაყიდვა არ ინება, მაგრამ, ვიმეორებ, თუ „ინტერს“ ჩემი თავიდან მოშორება მაინც სჭირდება, პრობლემას არ შევუქმნი. იმედი მაქვს, რომ „სიენას“ წინააღმდეგ მათამაშებენ და ამ შეხვედრაში მანჩინისს დავუმტკიცებ, რომ ჩემი სათადარიგოთა სკამზე დატოვებით დიდ შეცდომას უშვებს“.



შემდეგ ურუგვაელს ჩემპიონთა ლიგაზეც ჰკითხეს. მოგეხსენებათ, ამ კვირაში „შავლურჯებმა“ შეჯიბრების მეორე ეტაპზე დაიბევეს ადგილი. რეკობამ მიუგო:

„მერვედფინალში არ მინდა „ბარსელონასთან“ შეხვედრა, რადგან აშკარაა, რომ მეორე ადგილზე გასულ გუნდებს შორის ყველაზე ძლიერი გუნდი კატალონიელებს ჰყავთ. კარგი იქნებოდა „რეალთან“ შეხვედრა, რადგან ეს გუნდი დასუსტებულია“.

**პაპუნა ქედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

## გამაგათებული ზამერი და გაჭიცფელდებული მაგათი

**პირველი წრე** ხვალ დასრულდება და ბუნდესლიგა 22 იანვრამდე დაისვენებს. კალენდარმა ისე ინება, რომ წრის დასასრულს მიუნხენის „ბაიერნი“ „შტუტგარტს“

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მაინცი | : | ნიურნბერგი |
| ბაიერნი | : | შტუტგარტი |
| ბოხუმი | : | ჰამბურგი |
| ჰანოვერი | : | ჰერტა |
| ჰანზა | : | დორტმუნდი |
| შალკე | : | ფრაიბურგი |
| ვერდერი | : | ლაუტერნი |
| **ხვალ** | | |
| გლადბახი | : | ლევერკუზენი |
| ვოლფსბურგი | : | არმინია |

| საძლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 16 | 10 | 3 | 3 | 31:18 | 33 |
| შალკე | 16 | 11 | 0 | 5 | 25:20 | 33 |
| შტუტგარტი | 16 | 9 | 3 | 4 | 30:17 | 30 |
| ჰანოვერი | 16 | 8 | 4 | 4 | 24:15 | 28 |
| ვერდერი | 16 | 8 | 3 | 5 | 35:18 | 27 |
| ვოლფსბურგი | 16 | 9 | 0 | 7 | 27:26 | 27 |
| ჰერტა | 16 | 6 | 7 | 3 | 27:15 | 25 |
| ლევერკუზენი | 16 | 7 | 4 | 5 | 27:24 | 25 |
| არმინია | 16 | 7 | 3 | 6 | 19:18 | 24 |
| ჰამბურგი | 16 | 7 | 1 | 8 | 28:24 | 22 |
| მაინცი | 16 | 6 | 4 | 6 | 24:26 | 22 |
| ლაუტერნი | 16 | 6 | 2 | 8 | 21:25 | 20 |
| ნიურნბერგი | 16 | 4 | 6 | 6 | 27:26 | 18 |
| დორტმუნდი | 16 | 4 | 5 | 7 | 16:21 | 17 |
| გლადბახი | 16 | 4 | 4 | 8 | 19:29 | 16 |
| ბოხუმი | 16 | 3 | 5 | 8 | 22:33 | 14 |
| ჰანზა | 16 | 2 | 4 | 10 | 12:35 | 10 |
| ფრაიბურგი | 16 | 2 | 4 | 10 | 13:37 | 10 |

მასპინძლობს. ფელიქს მაგათის ხელში წამოჩიტულ „შტუტგარტს“ მიუნხენში მათიას ზამერი ჩაიყვანს და „ბაიერნის“ ამჟამინდელ მწვრთნელს წარსულს ანახებს.

მიუნხენელებმა თუ მოიგეს, ზამთრის ჩემპიონობას ალბათ გაინაღდებენ, თუმც „ბაიერნის“ გამარჯვების შემთხვევაშიც კი „შალკეს“ პირველ ადგილზე გადასვლის შანსი რჩება. „ხუმარებმა“ დიდი ანგარიშით უნდა დაამარცხონ „ფრაიბურგი“ და მიუნხენელებს ბურთების სხვაობით აჯობონ.

„საშობაოდ ცხრილის თავში თუ ვიქნებით, გუნდისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს ძალიან კარგი იქნება“ — განაცხადა „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა. მასპინძლებს ჰასან სალიჰამიჯიჩი, ვილი სანიოლი და მეჰმეთ შოლი დააკლდებად, ლუსიოს თამაში კი საეჭვოა. „შტუტგარტს“ ზვონიმირ სოლდო ჰყავს ტრავმირებული.

გუნდი, რომელმაც ბოლო ათი მატჩიდან ცხრა მოიგო, ხვდება მეტოქეს, რომელმაც მიჯრით ზედიზედ შვიდი შეხვედრა წააგო. „შალკესა“ და „ფრაიბურგის“ მატჩში გამარჯვებულის გამოცნობა სამკითხაო ალბათ არაა, თუმც ბუნდესლიგაში გამორიცხული არაფერია.

„ჰანოვერს“, მიუნხენში „შტუტგარტის“ მარცხის შემთხვევაში, მესამე ადგილზე გადაბრძანების შანსი აქვს, ოღონდ თავად ბერლინის „ჰერტას“ უნდა სძლიოს, რომელიც არც ისე იოლი დასაჩაგრია.

„ბოხუმი“ „ჰამბურგს“ უმასპინძლებს, სტუმრებს კი ოთხი ტრავმირებული ფეხბურთელი ვერ დაეხმარა. გარდა ამისა, ჰამბურგელთა ნახევარმცველი რაფაელი ვიკი დისკვალიფიკაციის გამო „ბოხუმთან“ შეხვედრას გამოტოვებს.




ფელიქს მაგათი „ბაიერნს“ თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ წარუძღვება

„მაინცი“ „ნიურნბერგს“ დაუხვდება, რომელსაც ბუნდესლიგის მთავარმეგოლე მარეკ მინტალი დაშავებული ჰყავს. მისი თამაში საეჭვოა, ხოლო მცველი ენდი ვოლფი „ბაიერნთან“ წინა ტურის მატჩში გააძევეს და დასჯილია.

სტუმრად „ვალენსიას“ მძლეველმა ბრემენის „ვერდერმა“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი გაინაღდა და ახლა „კაიზერსლაუტერნს“ დაუპირისპირდება. „მუსიკოსებს“ ფრანკ ბაუმანი და დანიელ იენსენი ჰყავთ ტრავმირებულნი.

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ერთი კვირის წინ ბერლინში „ჰერტამ“ 6:0 მოუგო. მასპინძელთა ჰოლანდიელ მწვრთნელ დიკ ადვოკაატს შებღალული სახელის დაცვა ლევერკუზენის „ბაიერთან“ მოუწევს.

კარგა ხანს ბუნდესლიგის თავში მოქცეული „ვოლფსბურგი“ ნელ-ნელა მეექვსე ადგილზე ჩამოსრიალდა და ხვალ ბილიფელდის „არმინიას“ სეზონში მეათე გამარჯვებისთვის შეებმება.

ბოლოს კი როსტოკის „ჰანზა“ — ელირსებათ თუ არა ამ გუნდის გულშემატკივრებს შინ მოგებული მატჩის ხილვა?

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ალბასეტე | : | ბარსელონა |
| ბილბაო | : | ატლეტიკო |
| **ხვალ** | | |
| ბეტისი | : | რასინგი |
| დეპორტივო | : | სევილია |
| ესპანიოლი | : | მალიორკა |
| რეალი | : | სოსიედადი |
| ვალენსია | : | ნუმანსია |
| ხეტაფე | : | ვილიარეალი |
| ოსასუნა | : | სარაგოსა |
| მალაგა | : | ლევანტე |

| საძლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 14 | 11 | 2 | 1 | 30:8 | 35 |
| რეალი | 14 | 8 | 2 | 4 | 21:9 | 26 |
| ესპანიოლი | 14 | 8 | 2 | 4 | 16:8 | 26 |
| ვალენსია | 14 | 7 | 4 | 3 | 22:11 | 25 |
| სევილია | 14 | 7 | 3 | 4 | 16:15 | 24 |
| ატლეტიკო | 14 | 6 | 4 | 4 | 17:12 | 22 |
| ბეტისი | 14 | 5 | 6 | 3 | 18:17 | 21 |
| დეპორტივო | 14 | 5 | 6 | 3 | 18:19 | 21 |
| ოსასუნა | 14 | 6 | 2 | 6 | 21:22 | 20 |
| ლევანტე | 14 | 6 | 2 | 6 | 16:20 | 20 |
| სარაგოსა | 14 | 5 | 3 | 6 | 19:20 | 18 |
| სოსიედადი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:17 | 18 |
| რასინგი | 14 | 4 | 4 | 6 | 12:18 | 16 |
| ვილიარეალი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:11 | 15 |
| ბილბაო | 14 | 4 | 3 | 7 | 17:20 | 15 |
| ხეტაფე | 14 | 4 | 2 | 8 | 12:18 | 14 |
| ალბასეტე | 14 | 3 | 5 | 6 | 11:19 | 14 |
| მალიორკა | 14 | 3 | 4 | 7 | 13:20 | 13 |
| მალაგა | 14 | 3 | 3 | 8 | 10:19 | 12 |
| ნუმანსია | 14 | 3 | 2 | 9 | 10:25 | 11 |

## ბასკეთში შეცდომა აკრძალეს

| 11113 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11114 | ვოლფსბურგი-არმინია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11156 | ატალანტა-უდინეზე | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 11157 | ლაციო-ლეჩე | 7.3 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.1 |
| 11159 | სამპდორია-მესინა | 2.35 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11160 | რეჯინა-კალიარი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11161 | მილანი-ფიორენტინა | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.4 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11162 | კიევო-პალერმო | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11163 | ბრეშა-რომა | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11164 | ლივორნო-პარმა | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11165 | ბოლონია-იუვენტუსი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.2 |
| 11214 | დეპორტივო-სევილია | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11215 | ხეტაფე-ვილიარეალი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11216 | ესპანიოლი-მალიორკა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11217 | ბილბაო-ატლეტიკო | 2.85 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11218 | ბეტისი-რასინგი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11219 | ალბასეტე-ბარსელონა | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.1 |
| 11220 | ვალენსია-ნუმანსია | 1.6 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11221 | მალაგა-ლევანტე | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11222 | ოსასუნა-სარაგოსა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11223 | რეალი-სოსიედადი | 1.7 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12002 | ევერტონი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12003 | კრისტალ პალასი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 12004 | სიტი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 12005 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.9 | 1.7 |
| 12006 | ნორვიჩი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12007 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12008 | საუთჰემპტონი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12009 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1.7 | 1.9 |
| 12010 | არსენალი-ჩელსი | 1.8 | 1.8 |
| 12011 | ფულემი-მანჩესტერი | 1.8 | 1.8 |
| 12106 | შალკე-ფრაიბურგი | 2.2 | 1.5 |
| 12107 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 2.2 | 1.5 |
| 12108 | მაინცი-ნიურნბერგი | 2.0 | 1.6 |
| 12109 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1.9 | 1.7 |
| 12110 | ბოხუმი-ჰამბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12111 | ჰანოვერი-ჰერტა | 1.9 | 1.7 |
| 12112 | ჰანსა-დორტმუნდი | 1.8 | 1.8 |
| 12113 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.9 | 1.7 |
| 12114 | ვოლფსბურგი-არმინია | 2.1 | 1.5 |
| 12156 | ატალანტა-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 12157 | ლაციო-ლეჩე | 2.0 | 1.6 |
| 12158 | სიენა-ინტერი | 1.9 | 1.7 |
| 12159 | სამპდორია-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 12160 | რეჯინა-კალიარი | 1.8 | 1.8 |
| 12161 | მილანი-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 12162 | კიევო-პალერმო | 1.6 | 2.0 |
| 12163 | ბრეშა-რომა | 1.9 | 1.7 |
| 12164 | ლივორნო-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12165 | ბოლონია-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 12214 | დეპორტივო-სევილია | 1.8 | 1.8 |
| 12215 | ხეტაფე-ვილიარეალი | 1.6 | 2.0 |
| 12216 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.6 | 2.0 |
| 12217 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |
| 12218 | ბეტისი-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 12219 | ალბასეტე-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 12220 | ვალენსია-ნუმანსია | 1.8 | 1.8 |
| 12221 | მალაგა-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 12222 | ოსასუნა-სარაგოსა | 1.6 | 2.0 |
| 12223 | რეალი-სოსიედადი | 2.0 | 1.6 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ევერტონი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13003 | კრისტალ პალასი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13004 | სიტი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13006 | ნორვიჩი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13008 | საუთჰემპტონი-მიდლსბრო | 1.6 | 2.0 |
| 13009 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1.7 | 1.9 |
| 13010 | არსენალი-ჩელსი | 1.6 | 2.0 |
| 13011 | ფულემი-მანჩესტერი | 1.6 | 2.0 |
| 13106 | შალკე-ფრაიბურგი | 1.7 | 1.9 |
| 13107 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1.7 | 1.9 |
| 13108 | მაინცი-ნიურნბერგი | 1.6 | 2.0 |
| 13109 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1.7 | 1.9 |
| 13110 | ბოხუმი-ჰამბურგი | 1.5 | 2.1 |
| 13111 | ჰანოვერი-ჰერტა | 1.5 | 2.1 |
| 13112 | ჰანსა-დორტმუნდი | 1.5 | 2.1 |
| 13113 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.6 | 2.0 |
| 13114 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.7 | 1.9 |
| 13156 | ატალანტა-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 13157 | ლაციო-ლეჩე | 1.6 | 2.0 |
| 13158 | სიენა-ინტერი | 1.6 | 2.0 |
| 13159 | სამპდორია-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 13160 | რეჯინა-კალიარი | 1.6 | 2.0 |
| 13161 | მილანი-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13162 | კიევო-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13163 | ბრეშა-რომა | 1.6 | 2.0 |
| 13164 | ლივორნო-პარმა | 1.6 | 2.0 |
| 13165 | ბოლონია-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 13214 | დეპორტივო-სევილია | 1.6 | 2.0 |
| 13215 | ხეტაფე-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13216 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 13217 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.6 | 2.0 |
| 13218 | ბეტისი-რასინგი | 1.6 | 2.0 |
| 13219 | ალბასეტე-ბარსელონა | 1.7 | 2.0 |
| 13220 | ვალენსია-ნუმანსია | 1.8 | 1.8 |
| 13221 | მალაგა-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 13222 | ოსასუნა-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13223 | რეალი-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ევერტონი-ლივერპული | 1.9 | 1.9 |
| 14003 | კრისტალ პალასი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 14004 | სიტი-ტოტენჰემი | 1.8 | 2.0 |
| 14005 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.45 | 2.4 |
| 14006 | ნორვიჩი-ბოლტონი | 1.9 | 1.9 |
| 14007 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14008 | საუთჰემპტონი-მიდლსბრო | 1.95 | 1.85 |
| 14009 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1.65 | 2.3 |
| 14010 | არსენალი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 14011 | ფულემი-მანჩესტერი | 2.4 | 1.45 |
| 14106 | შალკე-ფრაიბურგი | 1.2 | 2.6 |
| 14107 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1.3 | 2.5 |
| 14108 | მაინცი-ნიურნბერგი | 1.7 | 2.2 |
| 14109 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1.45 | 2.4 |
| 14110 | ბოხუმი-ჰამბურგი | 1.9 | 1.9 |
| 14111 | ჰანოვერი-ჰერტა | 1.8 | 2.0 |
| 14112 | ჰანსა-დორტმუნდი | 1.95 | 1.85 |
| 14113 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.95 | 1.85 |
| 14114 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.45 | 2.4 |
| 14156 | ატალანტა-უდინეზე | 2.0 | 1.8 |
| 14157 | ლაციო-ლეჩე | 1.7 | 2.2 |
| 14158 | სიენა-ინტერი | 2.4 | 1.45 |
| 14159 | სამპდორია-მესინა | 1.65 | 2.3 |
| 14160 | რეჯინა-კალიარი | 1.8 | 2.0 |
| 14161 | მილანი-ფიორენტინა | 1.2 | 2.6 |
| 14162 | კიევო-პალერმო | 1.8 | 2.0 |
| 14163 | ბრეშა-რომა | 2.0 | 1.8 |
| 14164 | ლივორნო-პარმა | 1.8 | 2.0 |
| 14165 | ბოლონია-იუვენტუსი | 2.4 | 1.45 |
| 14214 | დეპორტივო-სევილია | 1.65 | 2.3 |
| 14215 | ხეტაფე-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 14216 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.65 | 2.3 |
| 14217 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.75 | 2.1 |
| 14218 | ბეტისი-რასინგი | 1.65 | 2.3 |
| 14219 | ალბასეტე-ბარსელონა | 2.4 | 1.45 |
| 14220 | ვალენსია-ნუმანსია | 1.2 | 2.6 |
| 14221 | მალაგა-ლევანტე | 1.8 | 2.0 |
| 14222 | ოსასუნა-სარაგოსა | 1.7 | 2.2 |
| 14223 | რეალი-სოსიედადი | 1.2 | 2.6 |

Euroleague

# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 8-9 დეკემბერი

## მაკაბი არა ისა! აგერ არის ბოისა



ყველა მოთამაშეს აქვს კარიერის პიკი და ვლადიმერ ბოისასი გუშინწინ იყო. რუსთავში დაბადებულმა და კალათბურთს ვერის ბაღში ნაზიარებმა ბოისამ ხუთშაბათ საღამოს დიდი ამბები დაატრიალა ლიუბლიანაში და ეს ვილაც რიგითი გუნდის წინააღმდეგ კი არა, თვით ევროლიგის ჩემპიონ თელ ავივის „მაკაბისთან“ მოახერხა.

„მაკაბი“ — მაისში ევროლიგის ოთხთა ფინალში თითის წვერზე რომ აბრზიალა ყველა მეტოქე და ჩემპიონი შეიქნა — ლიუბლიანაში უძლიერესი შემადგენლობითა და ჯგუფის ლიდერის რანგში ჩავიდა. თელავივლებს ხუთიდან ყველა თამაში მოეგოთ და, რა გასაკვირია, ლიუბლიანელების ჩახრამუნებასაც თუ აპირებდნენ. ჩაახრამუნებდნენ კიდეც, რომ არა ვლადიმერ ბოისა, ოლიმპიელთა კაპიტანი და სლოვენიის დედაქალაქში მეტად დაფასებული კაცი.

როცა ბოისა თამაშის ბოლოსწინა წუთზე მეხუთედ დაჯარიმდა და მოედანი დატოვა, გადაჭედილი „ტივოლი“ მას ფეხზე წამოუდგა, ხალხმა ტაშითა და მადლიერი შეძახილებით გააცილა იგი მოედნიდან. ეს რომ იგრძნო და დაინახა, იმიტომ ლაპარაკობდა ნამატჩევს ბოისა მაყურებლის ფაქტორზე

„მე მინდა, ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო, რომ „მაკაბის“ დამარცხებაში მთავარი როლი გულშემატკივრებს მიუძღვით. „ტივოლი“ ყოველთვის სავსეა, როცა ლიუბლიანაში დიდი გუნდი ჩამოდის, მაგრამ დღეს მაინც რაღაც სხვანაირი მუხტი იგრძნობოდა. ამის ნახევარი ხალხი რომ მოსულიყო, „მაკაბის“ ვერაფრით დავამარცხებდით — მაყურებელმა უდიდესი ზეწოლა განახორციელა მეტოქეზე და ჩვენ ზეცაში ალგვაზევა.“

ბოისა საკმაოდ თავმდაბალი პიროვნებაა და 50 ქულაც რომ ჩაეგდო, მაინც იმას იტყოდა, რაც თქვა. არადა, იმათ, ვიზეც ვოვამ თქვა, მოგვაგებინაო, კარგად იცოდნენ, რომ მაკაბელთა წელში გამტეხავი სწორედ ბოისა გახლდათ. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა 28 ქულა ჩაუგდო ევროპის ჩემპიონ ლიტველთა კაპიტან შარუნას იასიკევიჩუსის „მაკაბის“, მაგრამ მთავარი ეს კი არ იყო, არამედ ის, რომ ბოისა წარმოადგენდა ოლიმპიელთა ხერხემალს, მოედანზე 39 წუთზე მეტი დაყო და ყოველ შეტევასა თუ ზონაში ჩადგომას უმისოდ არ ჩაუვლია.

როცა კი „ოლიმპიას“ გაუჭირდა, ყოველთვის ბოისას დახმარებით გადიოდა ფონს. ჩვენიანს ერთ ეპიზოდში ერთი თანაგუნდელი რომ ეხმარებოდა, მეორეში სხვა წააშველებდა ხელს, მაგრამ ისე არ მომხდარა, რაიმე სერიოზულ ამბავს ბოისას გარეშე ჩაევლო.

თამაში მეტ-ნაკლებად თანაბარი იყო, მაგრამ საბოლოოდ „ოლიმპიას“ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. მაშინ, როცა ბოისა საჯარიმოთა ლიმიტის გამო მოედნიდან გადიოდა, ყველაფერი ოლიმპიელთა სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. თუმც იყო ეპიზოდი, როცა „მაკაბიმ“ მოიხელთა გვარიანი უპირატესობა. მესამე მეოთხედის მიწურულს ებრაელებმა იასიკევიჩუსის შემწეობით ცხრაქულიანი ლიდერობა მოიწყეს და ოლიმპიელთა მესაჭეობა ჩვეულებისამებრ ბოისამ იკისრა. სამწუთიანი მონაკვეთი ლიუბლიანელებმა 14:3 მოიგეს და ვოვამ ამ საქმეში რვაქულიანი წილი დაიდო.

ისიც სათქმელია, რომ ოლიმპიელთა ამ საგმირო გამარჯვებაში კიდევ ერთმა ჩვენიანმა, მანუჩარ მარკოიშვილმა დაიდო წილი. მანომ ოდენ 7 წუთი გაატარა მოედანზე და თავისიანებს ორი ქულით შეეწია.

ბოლოს ისიც აღვნიშნოთ, რომ ბოისამ „მაკაბისთან“ ჩაგდებული 28 ქულით „ოლიმპიაში“ საკუთარი რეკორდი გამოაცხო, ხოლო ჩვენიანთაგან ასევე საუკეთესოა ევროლიგაში მოხვეჭილი ქულების მხრივ. აქამდე ზაზა ფაჩულიას მიერ „პანათინაიკოსისთვის“ ჩაგდებული 26 ქულა ითვლებოდა „ქართულ“ რეკორდად.

**ირაკლი პერტაია**

### A ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 59:110 ეფესი**
ოლიმპიაკოსი: ვუკშევიჩი (13), პერი (10)
ეფესი: სოლომონი (25), პრკაჩინი (24), დომერკანტი (22)

**რეალი 91:66 ესტუდიანტესი**
რეალი: ბალოკი (25), ერეროსი (14), სონკო (14)
ესტუდიანტესი: იტურბე (17), მისო (11)

**პარტიზანი 78:81 ციბონა**
პარტიზანი: სტეპი (20), ავდალოვიჩი (18), მილოიევიჩი (14)
ციბონა: ვრანკოვიჩი (18), ზიზიჩი (17), პოპოვიჩი (11)

**პროკომი 78:68 კლიმამიო**
პროკომი: იაგოდნიკი (21), მასიულისი (16), დილევიჩი (13)
კლიმამიო: დუგლასი (19), ბაზილე (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კლიმამიო | 6 | 5 | 1 | +52 | 11 |
| ეფესი | 6 | 5 | 1 | +51 | 11 |
| რეალი | 6 | 4 | 2 | +47 | 10 |
| ციბონა | 6 | 3 | 3 | -6 | 9 |
| პროკომი | 6 | 3 | 3 | -8 | 9 |
| ესტუდიანტესი | 6 | 2 | 4 | -34 | 8 |
| პარტიზანი | 6 | 1 | 5 | -20 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 5 | -82 | 7 |

### B ჯგუფი

**ოლიმპია 93:81 მაკაბი**
ოლიმპია: *ბოისა* (39 წუთი, 28 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), *მარკოიშვილი* (7 წუთი, 2 ქულა)
მაკაბი: იასიკევიჩუსი (19), პარკერი (18)

**სკავოლინი 88:90 აეკ**
სკავოლინი: სმიტი (32), ფროზინი (15), მოტოლა (15)
აეკ: ნიჩევიჩი (25), ბეილი (18), ლოლისი (16)

**ბარსელონა 73:59 ვილერბანი**
ბარსელონა: ბოდიროგა (22), ნავარო (15)
ვილერბანი: ბეშოკი (19), პელე (13)

**ჟალგირისი 90:81 სიენა**
ჟალგირისი: ბერდი (23), პეკი (20)
სიენა: ვანტერპული (19), სტეფანოვი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 6 | 5 | 1 | +78 | 11 |
| ბარსელონა | 6 | 4 | 2 | +51 | 10 |
| სიენა | 6 | 3 | 3 | +19 | 9 |
| ოლიმპია | 6 | 3 | 3 | -8 | 9 |
| ჟალგირისი | 6 | 3 | 3 | -13 | 9 |
| სკავოლინი | 6 | 3 | 3 | -48 | 9 |
| აეკ | 6 | 2 | 4 | -16 | 8 |
| ვილერბანი | 6 | 1 | 5 | -63 | 7 |

### C ჯგუფი

**უნიკახა 62:73 ცსკა**
უნიკახა: ვასკესი (17), რიზაშე (11)
ცსკა: ბრაუნი (24), გრეინჯერი (13)

**სკაილაინერზი 80:97 ტაუ**
სკაილაინერზი: უილიამსი (29), როლერი (18), ელისი (16)
ტაუ: მასიაუსკასი (20), სკოლა (17), კორლი (15), კალდერონი (14)

**ულქერი 66:64 პანათინაიკოსი**
ულქერი: ერდოგანი (21), ჟუკაუსკასი (13), თუნჩერი (10)
პანათინაიკოსი: ჰაძივრეტასი (15), ბატისტი (12), მიურეი (11)

**პო ორტეზი 79:72 ბენეტონი**
პო ორტეზი: ჩეტმენი (30), რუპერტი (16), მარსელისი (12)
ბენეტონი: გარნეტი (21), სორაგნა (19)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 6 | 0 | +54 | 12 |
| ულქერი | 6 | 3 | 3 | +26 | 9 |
| ბენეტონი | 6 | 3 | 3 | +19 | 9 |
| ტაუ | 6 | 3 | 3 | +15 | 9 |
| პანათინაიკოსი | 6 | 3 | 3 | -3 | 9 |
| უნიკახა | 6 | 2 | 4 | +4 | 8 |
| სკაილაინერზი | 6 | 2 | 4 | -55 | 8 |
| პო ორტეზი | 6 | 2 | 4 | -60 | 8 |

# საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი წრე პირველ ადგილს ათამაშებს

კვირას პირველი წრე სრულდება და ეროვნული ჩემპიონატის მთავარი მატჩი სწორედ ამ დღესაა. „თბილავიამშენისა“ და „სტუ-ჯეოსელის“ ჯახმა უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ დაასრულებს საწყის წრეს ცხრილის სათავეში. ნუგზარ ჭეიშვილის სტუ ჯერაც დაუმარცხებელია, ლევან მოსეშვილის ახალშექმნილმა გუნდმა კი მხოლოდ ერთხელ, მეორე ტურში წაიფორთხილა თბილისის „დინამოსთან“. გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ საამმატჩო პრესკონფერენცია მოეწყო, რომელსაც ხსენებულ მწვრთნელებთან ერთად გუნდების ლიდერებიც დაესწრნენ — ავიატორთა მხრიდან დავით თორთლაძე, ტექნიკოსთაგან კი დავით ბერიშვილი.

თავდაპირველად მწვრთნელებს საერთო კითხვა დაუსვეს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი საკვირაო მატჩს...

**ნუგზარ ჭეიშვილი:** „ეს მატჩი საერთო აზრით ცენტრალურია, მაგრამ მწვრთნელისთვის ძნელია, კონკრეტული თამაშის გამორჩევა, რადგან ყოველთვის მზად უნდა იყო და მოედანზე შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღო.“

**ლევან მოსეშვილი:** „მეც იგივე აზრის ვარ. მწვრთნელისთვის ყველა მატჩი ერთია, მაგრამ ჟურნალისტებს თუ გაგიხარდებათ, ვიტყვით, რომ ცენტრალური შეხვედრაა. ჩვენთვის ეს მატჩი გამორჩეულია, რადგან თუ ვიმარჯვებთ, სტუ-ს გადავასწრებთ და პირველ წრეს პირველ ადგილზე დავასრულებთ. ისე, უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურებს და ზეგინდელ მატჩში დამარცხებულმა გუნდმა ტრაგედია არ უნდა შექმნას.“

*— „ავიამშენსაც“ და „სტუ-ჯეოსელსაც“ საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, თუმც გაძლიერებას არც ერთი იუარებდით. რომელ სათამაშო რგოლში ისურვებდით ხეირიან ახალწვეულს?*

**ლევან მოსეშვილი:** „სასურველი იქნებოდა, სამ ნომერზე მოთამაშე ფორვარდი შეგვემატებინა, დანარჩენ პოზიციებზე კი მეტ-ნაკლებად გვყავს გამოცდილი და ღირსეული ხალხი. ისე, თუ შესაძლებლობა იქნება, კარგი მოთამაშისთვის ყოველთვის გამოინახება ადგილი.“

**ნუგზარ ჭეიშვილი:** „ჩვენი მეტოქე ხეირიანი მოთამაშეების ნაკლებობას რომ არ განიცდის, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ჩვენ კი, ყველა ხედავს, რომ ცენტრალური თავდამსხმელი გვაკლია, თუმც ახლახან შემომატებული ახალგაზრდა რიჩარდ მათიაშვილსაც შეუძლია პრობლემის მეტ-ნაკლებად მოგვარება.“

თუ, საზოგადო აზრით, „ავიამშენი“ სტუ-ზე დაბალანსებულია, ტექნიკოსებს ის უპირატესობა აქვთ, რომ შედარებით შეთამაშებულნი არიან. მწვრთნელებმაც ამაზე ილაპარაკეს...

**ლევან მოსეშვილი:** „სტუ გაცილებით შეთამაშებულია, ვიდრე ჩვენი გუნდი — დუდუ დადიანისა და სირიის საერთაშორისო ტურნირებში მიიღო მონაწილეობა. ჯამში სტუ-მ ათი მატჩი ითამაშა ჩემპიონატის დაწყებამდე და ყველა საკმაოდ სერიოზულ გუნდთან. ჩვენ კი ზედ ჩემპიონატის დაწყებამდე შევიკრიბეთ სრულად და, ცხადია, შეთამაშება გვჭირდება. თბილისის „დინამოსთან“ მეორე ტურში წაგებულ მატჩში ჩვენი ხარვეზები კარგად გამოჩნდა. ვფიქრობ, ჩვენს გუნდს 50 პროცენტით შეუძლია თამაშის ხარისხის გაუმჯობესება, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. ამას წინათ ხუმრობით ვთქვი თუ ვინმეს ჩვენი დამარცხება უნდა, ახლა უნდა შეძლონ ეს, თორემ მერე რომ ავთამაშდებით, ამის საშუალებას აღარავის მივცემთ — მეთქი“.

„შეკრება მართლაც სრულფასოვნად გავიარეთ, მაგრამ პრობლემები მერე შეგვექმნა — თქვა ნუგზარ ჭეიშვილმა — მოგახსენებთ გუნდი ცენტრალურმა თავდამსხმელებმა დატოვეს და როცა შესაბამისად მოვემზადეთ და შედარებით ტანმორჩილ ირაკლი შანიძეს მეფარეობა შევასწავლეთ, ირანიდან მობრუნებული ირაკლი ჯაფარიძე ისევ შემოგვემატა. მერე ისევ გადავაწყვეთ თავდასხმის ხაზი და ძველი პოტენციალის დაბრუნებას ჩემპიონატის საწყისი სამი ტური მოვანდომეთ. ახლაც არ ვართ ბოლომდე შეთამაშებულნი და მეც ბატონ ლევან მოსეშვილის სიტყვებს გავიმეორებ: თუ ვინმეს მოგება უნდა, ახლა გვაჯობოს, თორემ მერე...“

ბოლოს მოთამაშეებმაც თქვეს ერთი-ორი...

**დავით თორთლაძე „ავიამშენის“ გამთამაშებელი:** „საკმაოდ საინტერესო და დაძაბული მატჩი გველის და ვფიქრობ, მაყურებელი ისიამოვნებს კიდეც. სტუ-ს მთავარი უპირატესობა სწრაფი, კონტრშეტევებზე აწყობილი თამაშია. მოწინააღმდეგეთაგან ვერავის გამოვყოფ, სტუ-ს არაერთი გამოცდილი მოთამაშე ჰყავს და იოლად არაფერს დათმობენ.“

**დავით ბერიშვილი, სტუ-ს გამთამაშებელი:** „მეც ვერავის გამოვყოფ ავიამშენელთაგან, ყველა სერიოზული მოთამაშეა და ვფიქრობ, კარგი ბრძოლაც იქნება. ჩვენ, ცხადია, არ გვინდა პირველი ადგილის დათმობა, მაგრამ მეტოქე მეტად ამბიციურია და არაფერს დაიშურებს გამარჯვებისთვის. არც ჩვენ დავიშურებთ.“

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

9 დეკემბერი

**პორტლენდი 89:86 ბოსტონი**
პორტლენდი: რენდოლფი (22)
*სტეფანია განაცხადში არ იყო*
ბოსტონი: პეიტონი (14)

**დალასი 102:107 სიეტლი**
დალასი: ნოვიცკი (27), ფინლი (19), სტეკჰაუსი (19)
სიეტლი: ლუისი (25), ალენი (22)

**ჰიუსტონი 81:80 სან ანტონიო**
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (33), მინგი (27 ქულა, 10 მოხსნა)
სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 18 მოხსნა, 7 დაფარება), ბრაუნი (20), ჯინობილი (13)

# F1 სამეფო რბოლების ლეგენდა

## ჯუზეპე ნინო ფარინა



*დაიბადა 1906 წლის 30 ოქტომბერს ტურინში*
*ფორმულა 1-ში ასპარეზობდა 1950-55 წლებში*
*მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონი*
*1952 წლის ვიცე-ჩემპიონი*
*1953 წლის მესამე პრიზიორი*
*მოგებული აქვს 5 დიდი პრიზი: დიდი ბრიტანეთის, იტალიის, შვეიცარიის, ბელგიის და გერმანიის*
*33 რბოლა, 20 (5+9+6) პოდიუმი, 5 პოული, 5 უსწრაფესი წრე, 127,33 ქულა*
*გუნდები: „ალფა რომეო" (1950-51), „ფერარი" (1952-55)*
*გარდაიცვალა 1966 წელს*

იტალიელი მრბოლი ჯუზეპე „ნინო" ფარინა ფორმულა 1-ის ისტორიაში სამუდამოდ პირველი დარჩა: ზეისტორიული, უპირველესი კვალიფიკაციის და დიდი პრიზის მომგები და, რაც უმთავრესია, მსოფლიოს პირველი ჩემპიონი.

მან ტიტული თითქმის 44 წლისამ მოიპოვა და ამ მხრივაც გამოირჩა — სამეფო რბოლების 27 გვირგვინოსნისგან ყველაზე ასაკოვანმა მიაღწია პირველ წარმატებას.

„დოქტორი" ფარინა მეორე მსოფლიო ომამდელი თაობის მრბოლი იყო. ტრასებზე პირველად 1925 წელს, სტუდენტობისას გამოჩნდა. ტურინის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მიენიჭა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. აქედანაა მისი მეტსახელიც.

ფორმულა 1-ის დაბადებამდე არაერთი მნიშვნელოვანი რბოლა მოიგო — ანტვერპენში, ბერნში, ტრიპოლიში, მონტე კარლოში, მონცაში, ჟენევაში. 1936 წელს იტალიაში მეტად პრესტიჟულ ათასმილიან ზემარათონში ბრეშიადან რომამდე და უკან, „ალფა რომეოთი" მთელი ღამე უშუქებოდ იქროლა და ფინიშთან მეორე მივიდა.

1947 წელს შეიქმნა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია (FIA). ავტოები ძრავის მოცულობა-სიმძლავრის მიხედვით კატეგორიებად დაიყო და 1950 წელს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატიც ჩატარდა ყველაზე მძლავრ, პირველი კლასის ფორმულაში.

50-იანი წლები ჯენტლმენი მრბოლების ხანა იყო. პილოტები შეჯიბრებებში მხოლოდ მანქანების და სისწრაფის სიყვარულით მონაწილეობდნენ. არც ფულისტომრიანი სპონსორები ჰყავდათ და არც ზღაპრულ გასამრჯელოს იღებდნენ უკიდურესად რისკიან ხელობაში. მძღოლებს ერთმანეთთან თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, რაც დღეს იშვიათი ამბავია.

ეს ახლაა, მრბოლ-ბოლიდს ტექპერსონალის არმია რომ ახვევია და ელექტრონიკით გაჭყეპილი ცხრაას ცხენისძალიანი ურჩხული ბევრად ადვილი სამართავია. მაშინ, ფორმულა 1-ის გარიჟრაჟზე, მანქანა სწორედ რომ დენთის კასრი იყო, მოუხეშავი, ძნელად მოსარჯულებელი. პილოტებს იოტისოდენა დამცავი საშუალება არ გააჩნდათ, არც გზების საფარი ვარგოდა და ხანძარ-ავარიისას მხოლოდ განგების იმედად რჩებოდნენ. და რა გასაკვირია, თუ ყოველწლიურად ორი-სამი მათგანი იღუპებოდა, ზოგჯერ მეტიც. გზაარეულმა მანქანებმა არაერთხელ იმსხვერპლეს მაყურებლებიც, რომელთაც ტრასიდან მხოლოდ თივის ზვინები ჰყოფდა.

და მაინც, უზარმაზარი საშიშროების მიუხედავად, უამრავი „თავზეხელაღებული" უჯდა საჭეს. პირველ ჩემპიონატში 30-მდე პილოტი მონაწილეობდა.

### ოქროს ფინიში

ზეისტორიული პირველი ჩემპიონატის პირველი, ბრიტანული ეტაპი 1950 წლის 13 მაისს, შაბათ დღეს გაიმართა ლონდონიდან 150-იოდე კილომეტრით დაშორებულ სილვერსტოუნის ტრასაზე. სარბიელად გაუქმებული სამხედრო აეროდრომის ტერიტორია გამოიყენეს.

ინგლისის მეფე გეორგ მეექვსეს, დედოფალ ელისაბედის და პრინცესა მარგარეტის თანდასწრებით სტარტზე 21 მანქანა განლაგდა, ცხადია, წინა დღის საკვალიფიკაციო შედეგების მიხედვით. პირველი პოულის მომგებ ფარინას („ალფა რომეო") გვერდით მისი თანაგუნდელები — ლუიჯი ფაჯიოლა და რეჯინალდ პარნელი იდგნენ. აღსანიშნავია, რომ სამეულმა ამავე თანმიმდევრობით გადაჭრა ფინიშის ხაზი. თავიდან 53 წლის ფაჯიოლი გაიჭრა წინ, მაგრამ მალე ფარინამ და კიდევ ერთმა ალფელმა ხუან მანუელ ფანხიომ გაასწრეს. თუმცა, „მაესტრო" ხუანმა დიდხანს ვერ გაძლო, ძრავამ უღალატა და ბრძოლას რვა წრით ადრე გამოეთიშა.

დიდი ბრიტანეთის პირველი დიდი პრიზი დაისაკუთრა ჯუზეპე ფარინამ, რომლის „ალფეტამ" 329-კილომეტრიანი დისტანცია 2 საათსა და 13 წუთში დაძლია. აღსანიშნავია, რომ რბოლის უსწრაფესი წრეც ფარინასი იყო, ასე რომ, „ჰეთ თრიქით" გაიმარჯვა, რაც „დოქტორის" ექვსწლიან კარიერაში ერთადერთი აღმოჩნდა.

ეს „ალფა რომეო ტიპო 158" ერთ-ერთი გახლდათ იმ შვიდი მანქანიდან, რომლებიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაჯირითობდნენ, ომის დროს კი იტალიელებმა ყველის ქარხანაში გადამალეს, ფაშისტებს ხელში რომ არ ჩავარდნოდათ.

ექვსრბოლიან სეზონში (ჩათვლაში ოთხი საუკეთესო შედეგი შედიოდა) მეორე, მონაკოური ეტაპიდან გამოჩნდნენ ენცო ფერარის სისხლისფერი ბედაურები. მართალია, „ფერარის" პრემიერი ალბერტო ასკარი და მისი კოლეგები ძალიანაც ეცადნენ, მაგრამ ალფეტებთან ბრძოლაში ვერაფერს გახდნენ. მონტე კარლოში ფანხიომ იმარჯვა, შემდეგ ფარინამ, მერე ორჯერ ზედიზედ ისევ ფანხიომ, რომელიც დასკვნითი, იტალიური ეტაპის წინ ოთხი ქულით უსწრებდა კონკურენტს და ტიტულიც თითქოს გაინაღდა. იგი კვალიფიკაციისას ყველაზე სწრაფი იყო, ამდენად სტარტზე ქარავანის თავში იდგა და საგვირგვინოდ მესამე ადგილიც ჰყოფნიდა.

მილანის მახლობლად, მონცას „აუტოდრომო ნაციონალეზე" ვითარება დაძაბული იყო არა მხოლოდ ტიფოზების ნაციონალისტური განწყობის გამო. ამიტომ ფარინა უდიდეს მხარდაჭერას გრძნობდა, ვიდრე არგენტინელი ფანხიო, თუმცა ორივენი ალფელები იყვნენ.

ოკეანგაღმელ „მაესტროს" დასაწყისშივე გაასწრეს ფარინამ და ასკარიმ. ფანხიომ მეშვიდე წრე (სულ 80 უნდა გაევლოთ) უსწრაფესად გაიქროლა, მკვიდრად იდგა მესამე პოზიციაზე და მის ჩემპიონობას თითქმის არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ „ტიპოს" სიჩქარეთა კოლოფი მოეშალა. ხუანმა თანაგუნდელ პიერო ტარუფის ბოლიდით გააგრძელა ჯირითი (მაშინ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო), თუმც მაინც ვერ იხეირა — შუა გზაზე ძრავა დაწვა. ყველას ფარინამ აჯობა და ჩემპიონობაც მოიპოვა.

საერთოდაც, 1950 წლის ჩემპიონატი „ალფა რომეოს" არნახული ტრიუმფით დაგვირგვინდა — პირველი სამი ადგილი ამ სუპერ საჯინიბოს სამმა „ფა"-მ (ფარინა, ფანხიო, ფაჯიოლი) დაიკავა.

ფერარელი ასკარი მხოლოდ მეხუთე იყო.

### ჯენტლმენი ნინო

ჯუზეპე — მრბოლის ვაჟიშვილი და ავტომობილის ცნობილი ფირმის „პინინფარინას" მფლობელის ძმისშვილი, მრბოლი-ჯენტლმენის ნიმუშად ითვლებოდა. იყო თავაზიანი, კორექტული, თუმც ოდნავ გულცივიც. მანქანაში გამორჩეულად ელეგანტურად გამოიყურებოდა, იჯდა თავისუფლად, უკან გადაწეული და არა სხვების მსგავსად საჭეს ჩაფრენილი.

„ნინოს" მეუღლე ელსის მოდური ტანსაცმლის მაღაზია ჰქონდა და რბოლებს იშვიათად ესწრებოდა. ნაცნობ-მეგობართა დახასიათებით, ფარინა რთული და გამოუცნობი პიროვნება იყო. ზოგჯერ რბოლისას ახირებული ჩანდა, ხან თავქუდმოგლეჯით მიქროდა მეტოქის გასასწრებად, ხანაც გახურებულ ჯირითისას გააჩერებდა მანქანას, წინ წასულებს მაინც ვერ დავეწევიო.

ლეგენდარულმა კომენდატორე ენცო ფერარიმ იგი წმინდასისხლიან ბედაურს შეადარა, რომელსაც ჯირითისას ნებისმიერი ფოკუსის მოგონება შეუძლია. ამის გამო ჯუზეპე ხშირად სტუმრობდა კლინიკებს.

სამწუხაროდ, ფარინამ ველარ შეძლო საფორმულო მწვერვალზე შედგომა, მართალია, კიდევ ხუთი სეზონი დააქროლებდა ბედაურს, მაგრამ მაქსიმუმი, რასაც მიაღწია, 1952 წლის ვიცე-ჩემპიონობაა.

უხეირო 1951 წლის ჩემპიონატის შემდეგ (მეოთხე ადგილი), ფარინა „ფერარიში" გადავიდა, მაგრამ ეს მცდარი ნაბიჯი აღმოჩნდა. რადგან გუნდში მეორეობას ვერ ეგუებოდა, გამუდმებულად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ასკარისთან. ერთხელ ბერნში, შვეიცარიის „დიდი პრიზის" გათამაშების შემდეგ თანაგუნდელ-თანამემამულეთა კონფლიქტი კინაღამ ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

ამას არგენტინული ტრაგედიაც დაერთო. იქაურ ავტოდრომზე რბოლისას ფარინას მართვადაკარგული „ფერარი" ტრასიდან გავარდა და 15 მაყურებელი გაჭყლიტა.

1954 წელს სპორტული მანქანებით მონცას 1000-კილომეტრიანი მარათონის წინ ვარჯიშისას ჯუზეპეს საშინელ ავარია შეემთხვა, დიდი დამწვრობა მიიღო და პრაქტიკულად მთელი სეზონი გაუცდა. მომდევნო წელს კი დაბრუნდა, მაგრამ მხოლოდ ნახევარი ჩემპიონატი გაძლო. ავარიის შემდეგ აუტანელი ტკივილები დასჩემდა, რასაც მორფინის ნემსებიც ვერ უყუჩებდა.

სიცოცხლეც მანქანაში, მორიგი ავარიის შემდეგ დაასრულა, როცა სავოის ალპებში „ლოტუს-კორტინას" საჭე ვერ დაიმორჩილა და ტელეგრაფის ბოძს შეასკდა. ჯუზეპე ფარინა 60 წლის იყო.

**გია ახალაძე**



1950. საფრანგეთის დიდი პრიზი. სამი „ალფა რომეო" პირველ რიგში — ფანხიო, ფარინა, ფაჯიოლი




მსოფლიოს პირველი ჩემპიონი 44 წლის ჯუზეპე ფარინა გახდა



ბადრი კეთილაძის ფოტო

**დასავლეთი 3:1 აღმოსავლეთი**

25:16 23:25 23:15 25:20

**დასავლეთი:** მარიკა გერლიანი, თამარ ლატარია, ნონა ლვინჯილია, ნათია არველაძე, თინათინ მიქაძე, თამთა დავითულიანი; ნათია მაღლაკელიძე, თამილა გეგუჩაძე, ინგა იოსებაშვილი, ნინელი ლეჟავა, თამუნა გვანცელაძე, ირინა შენგელია

**აღმოსავლეთი:** ია ბაგრატაშვილი, მაია საათაშვილი, მარი ჯიოშვილი, მარიკა ვაშაკიძე, ნელი აირაპეტიანი, ნინო მეტრეველი; მაკა ძიძიგაძე, ნინო ლომიძე, სოფო ლომიძე, თამუნა კოროშინაძე, ირინა ჟდანოვა, თამთა დანელია

# დასავლეთი და აღმოსავლეთი: გვიყვარდეს ერთმანეთი

ქართული ფრენბურთის ისტორიაში გუშინ ახალი ფურცელი ჩაიწერა. სპორტის ამ არცთუ პოპულარული სახეობის საცქერად სპორტის სასახლის ტრიბუნების მესამედი შეივსო, ხალხი ორ თითქმის თანაბარ ნაწილად გაიყო და ქომაგობაც ისეთი გაჩაღდა, შიდა პირველობისთვის არათუ ფრენბურთში, ფეხბურთსა და კალათბურთშიც რომ იშვიათია.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქალთა ნაკრების დაპირისპირებას ფრენბურთის მოყვარულმა საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმაც ტრიბუნიდან უყურა, ბოლოს კი გამარჯვებულ დასავლელებს თავისი სახელობის თასიც გადასცა.

„პირველი ლედის თასის გათამაშება ტრადიციული გახდება. იგი გარდამავალი იქნება და დარწმუნებული ვარ, პოპულარობას წლიდან წლამდე მოიხვეჭს — გვითხრა ფრენბურთის ფედერაციის თავკაცმა ლევან ახვლედიანმა — საქართველოს ნაკრების წლევანდელი საგაზაფხულო საერთაშორისო თამაშების შემდეგ სპორტის ამ სახეობისადმი ხალხის ინტერესი საოცრად გაიზარდა. ეს ფრენბურთზე სიარულის მსურველთა რიცხვის აშკარა მატებითაც დასტურდება. ერთ დროს მიმკვდარი საქმე ნელ-ნელა ცოცხლდება, რაც უკეთესი მომავლის იმედს გვაძლევს. ახლა მთავარია ვაჟთა ნაკრების შექმნა. მომავალი წლიდან ამასაც მოვახერხებთ, ეროვნულს გუნდს ჩამოვაყალიბებთ და მასში ლეგიონერებიც ითამაშებენ."

თამაში, როგორც ბევრი ელოდა, დასავლელი გოგონების უპირატესობით დაიწყო და დასრულდა, თუმც საქართველოს ნაკრების თავკაც ნუგზარ მიქაძის სამწყსომ მთლად მშრალადაც ვერ იმარჯვა. ყველაზე დაძაბული მეორე სეტი აღმოსავლელებმა მოიგეს.

თამაშის შემდეგ სასახლის არენაზე ლიხსიქითელმა მედოლგარმონეებმა და გულშემატკივრებმა ჩაინაცვლეს და თასით ხელდამშვენებულ ნაკრებთან ერთად ცეცხლიც დაანთეს. ლამაზ სანახაობასთან ერთად სპორტის სასახლეში მისულთ ისევ დასავლელთა ნაირგვარ წარწერიანი პლაკატებიც დაგვიხვდა, ძირითადად დიდი ჯიხაიშის კოლექ „ჯიკოთი" აჭრელებული. ერთ-ერთ პლაკატზე კი ეწერა: „დასავლეთი და აღმოსავლეთი — გვიყვარდეს ერთმანეთი!"

ნუგზარ მიქაძე: „ასეთი ლამაზი სიახლითა და დღევანდელი შედეგით ძალიან კმაყოფილი დავრჩი, თამაშის ხარისხით — არც ისე. ჩემს გუნდში ნაკრების მოთამაშეებიც იყვნენ და ისეთებიც, ამდენი ხალხის წინაშე აქამდე რომ არასოდეს გამოსულან. ამიტომ ნერვიულობის ფაქტორიც თავისთავად არსებობდა. სასიხარულოა, რომ მოწინააღმდეგე გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩვენი სკოლის აღზრდილი მარიკა ვაშაკიძე. ამრიგად, პირველი ბრძოლა დასავლელებმა მოვიგეთ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ თასი გარდამავალია და მას მოფრთხილება უნდა."

**ოთარ მაღლაკელიძე**

რაგბი

# ხარებმა აღმართი მოხნეს

ვარკეთილის მეურნეობის მოედანზე გაიმართა 1989-90 წლებში დაბადებულ ჭაბუკ მორაგბეთა ფინალური შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს „ყოჩები" და „თსუ-ხარები" შეხვდნენ. თამაში თავიდანვე უნივერსიტეტის უპირატესობით დაიწყო და მთელი მატჩის განმავლობაში „ხარები" შერკინებაშიც და დერეფანშიც ფლობდნენ უპირატესობას, თუმცა პირველი ტაიმის ბოლოს „ყოჩებმაც" იყოჩაღეს და მგორავი მოლებითა და მიძალებით გაათანაბრეს ანგარიში — 7:7.

მეორე ნახევარში „ხარებმა" რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელეს, კვლავ ხელთ იგდეს უპირატესობა და შეძლეს ლელოს დამიწება. თამაში 17:10 დასრულდა „ხარების" გამარჯვებით.

**ნინო ლეჟავა**



*მხატვრულ ტანვარჯიშში ახალი ეპოქა იწყებაო, განაცხადეს ერთ გუნდად შეკრებილმა მწვრთნელებმა და დარბაზშიც დაგვპატიჟეს, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები მორიგი საშეჯიბრო ციკლისთვის ემზადება*

# ფიქრნი ღუმლის პირას

## როგორ გადავიტანოთ ამ ზამთარს?

**ელისო ბედოშვილი**, ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ხომ ხედავთ, რა პირობებში გვიწევს მზადება. ზამთარი მოვიდა და ფაქტობრივად ეროვნულ ნაკრებს დარბაზი არა აქვს. პირდაპირ რომ ვთქვათ, ვიყინებით. გამოდის, რომ სიცივის გამო ხუთი თვის განმავლობაში, ნოემბრიდან აპრილის ჩათვლით ვარჯიშებს სრულყოფილად ვერ ვმართავთ.

**— ახლო მომავალში რა ღონისძიებები ჩატარდება?**

— პირველი მარტიდან გვეწყება მეტად მნიშვნელოვანი შეჯიბრებები. ჯერ მოსკოვში მსოფლიოს თასის გათამაშება და გრან პრი ტარდება. ამ ჩემპიონატზე, ჩემი აზრით, აუცილებელია გამგზავრება, რადგანაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის წამყვანი ტანმოვარჯიშეები იქნებიან, განსაკუთრებით კი ტანვარჯიშის რუსი ლიდერები, რომელთაგანაც, ვფიქრობ, ბევრი უნდა ვისწავლოთ.

**— ვის ამზადებთ მოსკოვისთვის?**

— თათია დონაძე, ქეთი ხატიაშვილი, ელენე გავარდაშვილი და ბათუმელი ლიკა ჯორბენაძე მოემზადებიან.

**— ოთხივე გაემგზავრება?**

— არა, აქედან ორი უძლიერესი, თუმცა შეჯიბრების ორგანიზატორებისგან ზოგჯერ ისეთი დებულება იგზავნება, რომ მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონი უნდა გაემგზავროს. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ სანამ შეჯიბრებებზე ვისაუბრებთ, იანვარში მოსკოვში მსაჯთა კურსებია დაგეგმილი. ვფიქრობ, თუ გვსურს, კვალიფიციური, პროფესიონალი მწვრთნელები გვყავდეს, აუცილებელია, 6 სპეციალისტი მაინც გაემგზავროს კურსებზე. იქ მწვრთნელებს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ხარისხიც მიენიჭებათ.

**— რა დაჯდება ეს ღონისძიება?**

— თითოეულ მათგანს 1000 ამერიკული დოლარი დასჭირდება.

**— ეს თანხები სახელმწიფომ უნდა გაიღოს?**

— თავისთავად.

**— ამ საკითხის გადასაწყვეტად ვის მიმართავთ? სპორტის სამინისტროს?**

— რა თქმა უნდა. ეს უმთავრესი პრობლემაა. დამეთანხმებით, როდესაც მწვრთნელს კარგად ეცოდინება ტანვარჯიშის ახალი წესები, რომელიც 2005 წლიდან შევა ძალაში, მაშინ ტანმოვარჯიშეებიც სათანადოდ მოემზადებიან.

**— ტანვარჯიშიც კიდევ უფრო გართულდება, არა?**

— ვფიქრობ, ახალი წესებით მეტ ტექნიკურ მხარეზე გაკეთდება აქცენტი.

**— ესე იგი, ტანვარჯიშის დონე ტექნიკურად აიწევს?**

— დიახ.

**— კვლავ შეჯიბრებებს დავუბრუნდეთ. მოსკოვის შემდეგ რა ტურნირები გელის?**

— 15-16 მარტს კიევში დერიუგინას თასი ტარდება, შემდეგ, 20-22 აპრილს ბაქოში მსოფლიოს თასის გათამაშებაა. საერთაშორისო ტურნირი კორბელესონში და ევროპის ჩემპიონატი განახლებული პროგრამით ივნისის პირველ რიცხვებში.

**— ევროპის ჩემპიონატზე დიდი ნაკრებით აპირებთ გამგზავრებას?**

— სამწუხაროდ, უფროს ასაკში ველარ ვიასპარეზებთ, ისევ და ისევ ყოფილი ტანვარჯიშის ფედერაციის წარმომადგენლების წყალობით. მათ შარშან დაგვიმალეს მოწვევები და ამიტომ 2006 წლამდე ჩვენს დიდ ნაკრებს მონაწილეობის უფლება აღარ აქვს. ჩვენდა სავალალოდ, ძლიერი ჯგუფიდან ამოგვაგდეს და ახლა ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ. რაც შეეხება ამჟამინდელ ევროპის ჩემპიონატს, მასზე ახალგაზრდული ნაკრებით გამოვალთ.

**— ტურნირები ახლოვდება, როგორ აპირებთ მომზადებას?**

— ამჟამად ურთულეს ვითარებაში ვიმყოფებით. რაც 10 წლის განმავლობაში ვიშრომეთ, ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. ხომ ხედავთ, სად ვვარჯიშობთ, ქორეოგრაფიის დარბაზში, რომელიც 40 კვადრატული მეტრია. ვთბებით შეშის ფეჩით, სპორტის დეპარტამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ფიჩხს ვაგროვებთ. ამ პირობების გამო ძალიან ბევრი ნიჭიერი ბავშვი დავკარგეთ. მოდიან და რომ ხედავენ ასეთ ვითარებას, მიდიან. დასანანი ის არის, რომ მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს ელემენტარულად დარბაზი არ გაგვაჩნია. სხვათა შორის, ძველადაც, როცა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გვყავდა, ქალბატონ ნელი სალაძეს სულ წინააღმდეგობა ხვდებოდა დარბაზის საკითხზე. მგონი, ახლა მაინც უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა.

*ნაკრების მთავარ მწვრთნელთან საუბრისას იქვე ტანვარჯიშის რამდენიმე მწვრთნელსაც გავესაუბრეთ.*

**ინგა საააკაშვილი:** საქართველოში ნელი სალაძემ აღორძინა მხატვრული ტანვარჯიში და ჩვენ თითქმის ყველა მისი აღზრდილები ვართ, რომლებიც ვაგრძელებთ ამ არაჩვეულებრივ, ქალთა ერთადერთ გრაციოზულ სახეობას. როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოვდიოდით, მახსოვს, სპორტის სასახლის სავსე ტრიბუნები როგორ გვეგებებოდნენ. ახლა კი გული მტკივა, რომ ჩვენი პერსპექტიული თაობა უყურადღებოდ არის. რატომ არ უნდა ვიდგეთ კვარცხლბეკზე რუსეთისა და უკრაინის გვერდით, როგორც ადრე? რატომ უნდა დავუთმოთ პოზიციები თუნდაც აზერბაიჯანელებს?

**თინათინ ნადირაშვილი:** მე უფრო ახალგაზრდულ ნაკრებზე ვისაუბრებ. გვყავს პერსპექტიული ტანმოვარჯიშეები, თუმცა მათი აღზრდისთვის პირობებიც გვესაჭიროება, რომელიც, როგორც ხედავთ, არ გაგვაჩნია. ბავშვები არათუ შეკრებებზე, შეჯიბრებებზეც ვერ მიემგზავრებიან. ბათუმიდან ჩამოვიდა ელენე ტიტოვა, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ, მაგრამ სანაპიროს სპორტკომპლექსში გოგონა არასახარბიელო პირობებში ცხოვრობს. ამ ბავშვისთვის 4 წლის განმავლობაში ბათუმის ხელმძღვანელობას ერთი თეთრი არ გამოუყვია. ვიმედოვნებთ, რომ ბათუმის ახალი ხელმძღვანელობა მაინც გამოიჩენს გულისხმიერებას და მიხედავს მას. ჩვენ კი სპორტის ახალი ხელმძღვანელობა გამოგვესარჩლება, რადგან გვჯერა, რომ ახლა მაინც სხვა დროა და სასიკეთოდ შეიცვლება ყველაფერი.

**ნინო ლეჟავა**



თათია დონაძე

## საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ჩამოყალიბებამდე საქართველოს ჰყავდა 9 მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონები და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები.

იმის გამო, რომ ბოლო 14 წლის განმავლობაში საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება სპორტულ აკრობატიკას, შეიქმნა ძალზე სავალალო ვითარება და სპორტული აკრობატიკა მივიდა თითქმის განადგურების პირამდე. ამის გამო და კიდევ სხვა მრავალი მიზეზების გათვალისწინებით სპორტული აკრობატიკის სამყარომ გადაწყვიტა, რომ დაეფუძნებინა ცალკე სპორტული აკრობატიკისა და სპორტული აერობიკის ეროვნული ფედერაცია, რაც ჩვენს მიერ რეგისტრირებული იქნა სასამართლოში.



# სპორტსმენი

პარიზმა დაიწყო 2012 წლის ოლიმპიადისთვის ბრძოლა: „არსენალის“ პავილიონში და მის გარეთ არქიტექტორთა საერთაშორისო კონკურსი ტარდება და 454 ოლიმპიურ დიზაინს შორის ერთი ასეთიცაა. ეფექტურია, არა.

REUTERS პარიზიდან

# ნუგეში

ბრიტი შკიპერი ალექს ტომპსონი კეიპტაუნში შე[illegible]და და აგრე გამოეთხოვა „ვენდი [illegible]“ [illegible] ნაოსნობის დიდ შეჯიბრს. მიზეზი მისი იახტის „ჰუგო ბოსის“ წახდენაა. კეიპტაუნში ალექსს გულისსწორი კერი ლუისი დაუხვდა, რაც ერთადერთი ნუგეშია.



AFP კეიპტაუნიდან

# სველი კოცნა

ავსტრიელ მარკუს როგანს უხარია. ვენის ახლადგახსნილ აუზში ევროპის ჩემპიონატზე სწორედ მან მოიგო 200 მეტრზე ზურგზე ცურვის ოქროს მედალი.



REUTERS ვენიდან

# ევროპისკენ, სახალისოდ

ეროვნული ჰოკეის ლიგა კვლავ უქმობს. უსაქმო მოთამაშეებს კი ვარსკვლავთა გუნდი შეუდგენიათ და ევროპაში მოგზაურობას იწყებენ, 10 ქალაქს მოვივლით და ამხანაგურად ვითამაშებთო. მთავარ მეკარედ, ცხადია, დომინიკ ჰაშეკი ჰყავთ.



REUTERS ტორონტოდან



REUTERS ბაღდადიდან

# ფრენბურთი ბაღდადში

ეს ბაღდადია: ომის მიუხედავად, ტარდება ინვალიდ ფრენბურთელთა ფინალი ბაღდადისა და სადრის გუნდებს შორის. ინვალიდთა ჩემპიონატში 13 გუნდი მონაწილეობდა და ყველა ხეიბარი ომის მსხვერპლი იყო. ჩემპიონობა ბაღდადს ერგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge